წელიწადი მეორე ფასი 7 კაპ. ხუთშაბათი, 1 ქრისტეშობისთვე 1916 წ. № 268

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით ღირს 15 კ., ოკაბასკნელზე—10 კ., კავკახიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 5 მ.; 20×2 ღირს 7 მ., 25×2 ღირს 8 მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი. დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

ხარფუხის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტი № 163, საბამთრო შენობა)

ხუთშაბათს, 1 ქრისტეშობისთვეს,

სინემატოგრაფი

სიმფონიანი ორკესტრი

სტუმრები საზოგადო წესით. დასაწყისი ხალამოს 8½ ს.

(1—273—1)

გამოვიდა და იყიდება

„ბედი ქართლისა“

ნიკ. გარათაშვილის

სრული ფაქსიმილე

ფასი ერთი მანეთი.



წიგნი წარმოადგენს სრულს ასლს ნ. გარათაშვილის ხელნაწერისას (ვეზირიშვილის ვარიანტი).

ვისაც ფოსტით უნდა გამოწერა, უნდა მიმართოს: Тифлисъ Бол. Ванская № 12. ივანე მათეს ძეს ნაცვლიშვილს.

საუკეთესო, თავსარპარა

კახური ღვინო

მოიკითხეთ სარდაფში

„ზვარი“

პატივისცემით მ. ნ. ეგოროვი და ნ. ზ. ბაცაშვილი.

თბილისი: ცერკოვნი ქუჩა № 1 (ვორონცოვის ძეგლიდან მიხეილის ქუჩის პირველ მისახვევში, მარჯვენივ).

(თვ.)

„სავაჭრო სახლი“ (საწყობი)

ერ. ივ. ჭავჭავაძისა და

ი. ი. გველესიანისა

იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.

ისყიდება პარტიობით ყოველნაირი საგალანტერეინო საქონელი: ჩულქეულობა, ქოლგები, თეთრეულობა, ვიშივკები, კოსმეტიკა და სხვა და სხვა ახალმოდის საქონლები ხელმისაცემ ფასებში სხვა და სხვა ხოფლის კოოპერატივებისთვის.

(101—წ.)

ქ. თბილისში დაარსდა

მელნის ქარხანა

„ალაროდია“

ამზადებს საუკეთესო საქანცელარიო მელანს,

ალიზარინის ფერისას

პირველხანად ქარხანა გაჰყიდის მელანს ორ-ორ გირვანქიან ბოთლებით.

ლაზარეთებს ტ სამხედრო დაწესებულებათ შეღავათით დაეთმობათ.

მელანი პირის გადახალებადაც (კაპიროკა) კარგია.

დაკვეთა დაუყოვნებლივ სრულდება

ადგილობრივ თუ გაგზავნით.

საჭიროა აგენტები, როგორც თბილისში, აგრეთვე სხვა დაბა ქალაქებშიაც.

მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქუჩა, № 16, „ალაროდია“.

(თ.—228—თ.)

პირველ ხარისხოვანი რესტორანი

კაფე პარიზი

ახლად მოწყობილი მსგავსად სატაბტო ქალაქთა რესტორანებისა.

(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის“ ქვეშ)

ფახები ყველასათვის ხელმისაწდომია

ყოველ დღე მზადდება

საუზმე სადილები ვახშმები

ჩაი ყავა ხახაბური პიროკვეზი

ადგილობრივი და უცხოური საჭმელები, კარაქზე, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.

პატივისცემით სიდ. ხ. გოგიბერია.

საუკეთესო კახური

ღვინის საწყობი

ადამ ზურაბის ძის

ბერელაშვილისა

მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.

(102—წ.)

მოწყობილია ევ ეპიულ პირველ ხარისხოვან რესტორანების მსგავსად. საჭმელები ევროპიულიც არის და ადგილობრივიც. ყოველ დღე: ხარშო, ს მი, საცივი, ხაჭაპური, „პიროშკი“ და სხვა საუზმ სადილი და ვახშამი. მიუხედავად სანოვაგის სიძვ ისა, „ეკონომიაში“ სადილები ეტად იაფია. გამ ლი მზარეული სადილს კარაქით ამზადებს.

სასადილოში არის ნარდი დ ბილიარდი

პატივისცემით „კაფე-პარიზის“ წინანდელი მფლობელი
(თ. 253) დიმიტრი უჩ. ბიბიბერია და ვ. ქურთაშარი

ექიმი

ფონ-ირტელი

(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოპანეზოვისა).

მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს უფროსი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის 9½-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.

ერლიხის „914“ და „606“

შეშხაპუნება

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.

ექიმი

პ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.

ექიმი

მ. ი. ვაჩნაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბულინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

პრობეზორის ალექსანდრიანისა

ექიმი

კ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ყოყელდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.

ექიმი

მ. ი. ვაჩნაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბულინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

ერთ რამეზედ

ძნელია მეორე ისეთი უსამართლობის დასახელება, როგორიცაა ისტორიული და კულტუროსანი ერის უფლების შებოჭვა და გათელვა! დღევანდელი ადამიანისა თუ მთელი სახელმწიფოს სჯულ-დებითი შემეცნება დაუსჯელად არ სტოვებს არც ერთ კერძო ხასიათის ბოროტ მოქმედებასა თუ დანაშაულს! მთელი კაცობრიობის სინიდისი ერთბაშად აჯანყდებოდა სადმე ნახევარი დუზენი ადამიანი გალიაში სრულიად უდანაშაულოთ რომ მოემწყვდიათ და დაუმსახურებელი დევნა და შეურაცხება მიეყენებინათ! არსად არ ხდება ადამიანის დასჯა, თუ მას დანაშაული არ ჩაუდენია და თუ საქმის შესაყენებელი საბუთები არ მოუცია. მარტო ერთი დრეიფუსის საქმე რად ღირს. ასეთი წესი საფუძველია დღევანდელი მართლმსაჯულებისა, უამისოდ შეუძლებელი იქნებოდა ყოველგვარი მოქალაქობრივი ცხოვრებაც. ეს წესი ყველასაგან მიღებულია და ყოველი ადამიანის მართლმსაჯულებითი შემეცნების ერთ-ერთ განუყრელ ელემენტს შეადგენს.

სურათი საგსებით იცვლება, როდესაც მართლმსაჯულების საგნად კერძო პირის მაგივრად, მთელი ხალხი გამოდის. თუ ერთი პირის უკანონოდ დასჯა შეუძლებელია, სამაგიეროთ მთელი ერის დასჯა და დევნა შეწყნარებულია და მიღებული. თქვენ არ შეგიძლიანთ, ვინმე გაძარცვოთ, წაართვათ რამე, უფლება და ღირსება ჩამოხადოთ, მაგრამ შეგიძლიანთ მთელ ერს ჩამოართვათ ბუნების წესთა მინიჭებული უფლება თავისუფალი ეროვნული არსებობისა, შეგიძლიანთ იგი კანონს გარეშე გამოაცხადოთ, აუკრძალოთ სწავლა-განათლება თავის ენაზედ მიიღოს და თავის ენაზედვე აწარმოვოს კანონი და სამართალი! არა გაქვთ უფლება ერთი ვინმე ყმად გაიხადო, ხელქვეითად, მაგრამ შეგიძლიანთ მთელი ერი უფლება-ახდილ მონად იყოლიოთ და შენს მიზანს უმსახუროთ. მართალია, ვერავინ ბედავს გაამართლოს ეს ვითარება. მეტად აშკარაა ეს უზნეობა და უკანონობა, რომ მისი დაცვა საჯაროდ და საქვეყნოდ შეიძლებოდეს. მაგრამ ეს ხელს არ უშლის, რომ პატარა ერების უფლება ნამდვილად-კი ცინიკურად ილახებოდეს. ცხადია, ნებაყოფლობით არც ერთი ერი ამაზედ არ დათანხმდებოდა და სრულიად ბუნებრივი იქნება, რომ ყოველი მათგანი მოუთმენლად მოელოდეს, თუ როდის მოელება ბოლო მათ ჩაგვრასა და დევნას და როდის იქნება, რომ ყოველი ერის უფლება ერთნაირად იქნას დაცული, ისე როგორც ერთნაირად არის დაცული ყოველი მოქალაქის უფლება საერთო საიმპერიო კანონის წინაშე. შეუძლებელია დღევანდელმა ომმა პატარა ერების დღევანდელს მდგომარეობაში ძირითადი ცვლილება არ შეიტანოს. მართალია ჯერ-ჯერობით არაფრით გამართლებულა მეზრძოლ სახელმწიფოთა დიდი სიტყვები და დაპირებანი, როგორც ვიცით, ყოველი მათგანი ფიცსა სდებდა და ქვეყანას არწმუნებდა ომში იმიტომ გავდივარ, რომ ერთა უფლება დავიცვა და აღვადგინოვო, მაგრამ დღემდე ამის მაგალითს არა ვხედავთ. ბევრ მათგანს შინ ჰყავს არა ერთი და ორი პატარა ერი, რომელნიც კანონიერად მოელიან დაუმსახურებელი სასჯელის ახსნას. შეიძლებოდა, რატომაც არა, რომ მართლმსაჯულების აქტი გამოცხადებულიყო და ხალხებს ეროვნული უფლებრივი გარანტია მინიჭებოდა, მართლაც გულწრფელი რომ ყოფილიყო ომის დაწყებისას თქმული სიტყვები. შეიძლებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა.

ცხადია, ნებაყოფლობით და თავის თავად არც ერთი სახელმწიფო თავის ქვეშევრდომ ერებს თავისუფლებას არ აღუდგენს. ისტორიას არ ახსოვს ასეთი რამ. ამისთვის საჭიროა გარეშე იძულებითი ძალა. ასე იყო წარსულში. ამ სახით მოხდა, მაგ. ბალკანეთის სახელმწიფოების განთავისუფლება. დღესაც პატარა ერებს თუ რამე ეშველება, მხოლოდ ამ გზით. მართალია, დიდი სახელმწიფოების შეტაკებაში ბევრი პატარა ერი და სახელმწიფო გაჩანაგდა, მაგრამ პატარა ერების განთავისუფლება თუ სადმე მომხდარა, ესეც დიდ სახელმწიფოების შებმა-შეტაკებას მოჰყოლია. ერთმანეთის დასუსტების დაუძლურების სურვილით დიდ სახელმწიფოებს ერთმანეთისთვის ხელიდან მსხვერპლი გაუგდებინებიათ და პატარა ერის თავისუფლებაც შობილა. ცუდია როდესაც მართლმსაჯულება ამ უხეირო გზით ხორციელდება, მაგრამ განკითხვის დღეს იმავ დიდ სახელმწიფოთა სიხარბეს უნდა მოეკითხოს.

ხ. კედია.

პერსპექტივები

არც ერთი საუკუნის შვილი არ შესწრებია დღეს რომ ხდება იმგვარ ამბებს. ვერც ერთი ფანტასტიური რომანის ავტორი ვერ შესწვდა განადგურების იმ მანჭანებათა წარმოდგენასაც კი, რომელთაც მიაგნეს ამ ომის დროს მებრძოლმა ხალხებმა. ადამიანის დამშვიდებული ბუნება და ტკივილ ულონო გამოდგა, რომ ბუნდოვანად მაინც გაენჭვრიტა ხალხთა შეტაკების ეს უცხო სინამდვილე. სჩანს, სხვა ტემპით მუშაობს ადამიანის შემომქმედი აპარატი მშვიდობიანობის დროს, როდესაც არც სიცოცხლეა განსაცდელში ჩავარდნილი და არც ზნეობრივი სახეა შეურაცხებული. შვებასა და ლხინში იგი აპარატი ზარმაცია. უხიფათო არსებობის პირობებში მის ენერგიის გაშლილობას თავისი მაქსიმუმი აქვს, რომელსაც იგი ვერას გზით ვერ გასცდება. სულ სხვაა, როდესაც ხედავ, რომ შენს ყოფას ნაძალადევი არყოფა მოელის, როდესაც შენი ფიზიკური სიცოცხლე და მთელი მორალური არსება, როდესაც შენი და შენი წინაპართა პიროვნება და თავმოყვარეობა სხვათა ძალდატანებით უნდა მოისპოს! სხვათა, დიახ, სხვათა! როდესაც ხედავ, რომ ამძვინვარებული მტრის ჯარი ცეცხლით და მახვილით მოგდგომია, რომ აგკაფოს და აგიკაფოს ცოლ-შვილი და ნათესავი, პირქვე დაგიმხოს სალოცავი ტაძრები, შეგიგინოს წმიდა ხსოვნა და სიყვარული როგორც წარსულის, ისე აწმყოსი და მომავლისა, გაგანადგუროს, მოგინგრა-მოგინგრიოს, რაც საუკუნეებით აშენებულა, მეწყერში გაგირუნიოს მიცვალებულთა საფლავი და კოცონზე დაგიწვას მომავალ თაობათა აღზრდის აკვნები!!

ასეთი საშინელების წინაშე იჩრდილება ყოველი სხვა ზრახვა და მისწრაფება, ყოველი სხვა გულისთქმა და მიზანი და ადამიანის მთელი არსება, მთელი მისი ყურადღება, ყველა მისი ძალა და ენერგია თავდაცვის ინსტინქტის განკარგულებაში გადადის. ყველაფერი არა-ჩვეულებრივად იცვლება, და მანამდე წარმოუდგენელ სახეს ღებულობს. მრავალჯერ ასკეცდება ადამიანის ძალა და ენერგია, მისი შემოქმედება არ გაგონილ სიმაღლეს იოვსებს და განუმეორებელ საკვირველებათ მდაბიო სინამდვილის სახით გვიცხადებს. ადამიანის ბუნების სიმტკიცე და გამძლეობა ყოველგვარ საზღვარს სცილდება.

და ასე, გამოულეველი ძალის და გაალმასებული შემოქმედების გოლიათად გადაქცეული ადამიანი ერთად-ერთ გულისთქმის ბრმა და მორჩილ იარაღად გვევლინება: „ჰკა მაგას“, აი მისი აზრი და დანიშნულება, მისი მიზანი და გულისთქმა! და ინსტინქტი თავდაცვისა, ეს უძლიერესი დასაბამი ადამიანის არსების სხვა დასაბამთა შორის, ალიმურვება სტიქიური გაუტეხლობით და სიმკაცრით, რისხვად და ჯალათად გადაქცეული. უქმდებიან ნორმები და ცნებანი, ადამიანის ცხოვრებას ჩვეულებრივ რომ განაგებდენ. ადამიანის ფიზიოლოგიური სიცოცხლე ნორმალურ კალაპოტიდან ამოდის და აწეულის ტემპით მჩქეფარებს, ძველს კანონებს არ ემორჩილება; ამისდა შესაფერისად იცვლებიან საქმენი და მოქმედებანი, ზნეობრივი სჯულდებანი და შეხედულებანი. ირღვევა ძველი სინამდვილე, მყარდება ახალი, სრულიად უცხო, საშინელი და შემაძრწუნებელი. კატასტროფას ახდენს, ჩვეულებრივ წარმოდგენებსა და სინამდვილეებს ამხობს, ადამიანი, რომელსაც თავს წარსდგომია მის მზგავსისაგანვე წარმოგზავნილი სიკვდილი! ერთი ათასჯერ უფრო ინტენსიურია ეს რღვევისა და განადგურების პროცესი, რომელსაც თავდაცვის გულმოსულ ინსტინქტს პირისპირ შეუხლია მრავალი მილიონი შეიარაღებული ხალხი და უფლება არსებობისა მხოლოდ უძლიერესისთვის დაულოცნია!

დღევანდელი ომი ამ მხრივ თავდაცვის ინსტინქტის განსრულებული სტიქიური გამოცხადებაა და გვიმტკიცებს, რომ ამ ინსტინქტისთვის არ არსებობს არავითარი ანგარიშ გასაწევი ნორმა და კანონი. ჩვენ ვხედავთ, რომ დიდმა ერებმა არ დაინდვეს პატარა ერები, რომელთა განთავისუფლებასა და განეიტრალებაში ზოგ მათგანს თავის დროზე მხურვალე მონაწილეობაც მიუღია.

ჩვენ ვხედავთ, რომ დღეს განადგურებულია ბელგეთი, რომელსაც ევროპის სახელმწიფოებმა ლონდონის კონფერენციაზე თავისუფლება აღუდგინეს, რომ კისერი მოუგრიხეს რუმინეთს, რომლის თავისუფლება ბერლინში გაიჭედა ამ ორმოცი წლის წინად, ცეცხლითა და მახვილით გადაიარეს სერბეთი და მთაშავეთი, რომელთა განთავისუფლებამ ბერლინის კონგრესის დასტური მიიღო.

ეხლა ჯერი საბერძნეთზე მიდგა; მას განადგურებას უქადის ის საფრანგეთი, რომელმაც თავისუფლებისათვის ბრძოლაში საბერძნეთს პირველმა ხელი გაუწოდა; განადგურებას უქადის ის ინგლისიც, რომლის ერთი უდიდესი შვილი, ლორდი ბაირონი, მოხალისეებით მიექანებოდა, რომ შველა მიეტანა აჯანყებული საბერძნეთისთვის. პოლონეთს თავისუფლებას ანიჭებს ის, ვისაც მის დანაწილებაში უპირველესი როლი უთამაშნია!

აირია მონასტერი! ყველა ეს ერები დაპყრობილი და დამორჩილებული იყვნენ ამ ასი წლის წინად. მაგრამ პატრონებს ძალა არ ეყოთ, რომ დაპყრობილები მორჩილად ხელში დაეჭირათ. დამორჩილებული ერები ჯანყდებოდნენ და მათი აჯანყება, მცირედის გამოკლებით, ამ მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში, ყოველგან განთავისუფლებით თავდებოდა. ყველა ეს ერები დამოუკიდებელი იყვნენ ამ ომის დაწყების წინა დღემდე. დღეს კი ყველანი ქვლავ სხვის უღელ ქვეშ გმიხვენ.

შეუძლებელია ამ მდგომარეობამ დიდხანს გასტანოს, როგორც შეუძლებელია, რომ დღეს მებრძოლმა სახელმწიფოებმა კიდევ დიდხანს ზიდონ ამ ომის წელში გამწყვეტი სიმძიმე. დაღლილი და ილაჯ-გაწყვეტილი ევროპა დღეს თუ არა ხვალ დაჰყრის იარაღს. თუ ერთ დღეს სისხლის გამოშვების საჭიროებამ ზარბაზნების ახმაურება მოითხოვა, დადგება დრო, როდესაც სისხლის შეკავება არ-დასახანი საჭიროება იქნება არსებობის შესანარჩუნებლად. თუ ზოგ-ზოგს საჯიუტოდ ჯერ კიდევ ენერგია ჰყოფნის, მაღე არც ეს იქნება; ყველაფერს თავისი საზღვარი და დასასრული აქვს. და ომის ლიკვიდაციის კონფერენცია ამ ახლად დაპყრობილ ერთა აღდგენის და მათი უფლების დაცვის კონფერენციაც უნდა იქნეს. არა მარტო ეს. იგი უნდა იქნეს სხვა უფლება-ახდილ ერთა უფლების აღმდგენ კონფერენციაც. ამას მოითხოვს არა მარტო სამართალი, არამედ დიდთა პირადი ინტერესიც.

ისტორია გვასწავლის, რომ დიდი სახელმწიფოების ხერხემლის ძვალი პატარა ერების ზურგზე არა ერთხელ გადამსხვრეულა. ერის გათელილი უფლების შურის-ძიებას ომის ცეცხლი ბევრჯელ გაუჩაღებია, სადაც დიდი ერების დიდი ხომალდებიც დამწვარან. საერთაშორისო მშვიდობიანობისათვის დიდი ერის თავისუფლების უფლებაც იმდენს იწონის, რამდენსაც პატარა ერის თავისუფლების უფლებაც. ეს უთქვამს წარსულს. ერთობ ძვირად დაუჯდა დღევანდელი ომი დიდ სახელმწიფოებს, რომ ისტორიის ამ გაკვეთილს ანგარიში არ გაუწიონ და არ აღიარონ პატარა ერების თავისუფლების ხელშეუხებლობა. თუ ამავ ისტორიას დაეჯერება, ასე ყოფილა, რომ დამორჩილებული პატარა ერი უფრო სახიფათო და საშიში ყოფილა მეზობელ დიდი ერისათვის, ვიდრე თავისუფალი და უფლება-მოსილი პატარა ერი!

ძველი ქართველი.

ომის ამბები

გრძოლის ველზე

ერთად ერთი საყურადღებო და სტრატეგიულად დიდმნიშვნელოვანი ბაზა რუმინეთის ჩრდილო აღმოსავლეთ ბრძოლის ველზე ახლა ქ. ბუზეო არის, მიუხედავათ იმისა, რომ ბუქარესტის და პლოეშტის აღებამ ნათელჰყო ყალბი შეხედულობა ყველა სამხედრო მიმომხილველებისა ამ ქალაქის და ამავე სახელის მდინარის მნიშვნელობაზე. უკანასკნელნი სწორედ ამ მდინარით ელოდნენ ფალკენჰაინის შემოსევას და ამ გზით იმ რუმინელთა ჯარების ზურგიდან შემოვლას, რომელნიც პატარა ვლახეთში მოქმედობდნენ. გერმანელებმა და ავსტრიელებმა ამ მიმართულებას ყური არ ათხოვეს და ოპერაციის განვითარება ყველასათვის მოულოდნელად მდ. ჟიუდან დაიწყეს. თავისთავად ცხადია ქ. ბუზეოს მნიშვნელობა სრულებით იმით არ განიზომება, თუ სამხედრო მიმომხილველნი რას ფიქრობენ და ან როგორ ხსნიან მოპირდაპირეს განზრახვას. მასთანვე, საზოგადოთ, ყოველივე ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვან ადგილის სტრატეგიული მდგომარეობა ყოველთვის ბრძოლის ველზე შექმნილ პირობებით განიზომება. იმის და მიხედვით, თუ საით ესწრაფვის მოპირდაპირე, ან რა განზრახვა აქვს მას, ესა თუ ის ბუნებრივი ბაზაც შესაფერისად იცვლის ხოლმე მნიშვნელობას. ქ. ბუზეოს და მდ. ბუზეოსაც უფრო მთავარი გადამწყვეტი როლი ექნებოდა ნაკისრი, მართლაც რომ ავსტრიელებს და გერმანელებს სწორედ ამ მიმართულებით დაეწყოთ უპირველესად შეტევა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ასე არ მოხდა, ქ. ბუზეოს მაინც შერჩა ერთგვარი სტრატეგიული დანიშნულება ახალ ბრძოლის ასპარეზისათვის. რომ ეს ასეა, ამას მოწმობს ავსტრიელთა და გერმანელთა იერიშების დაწყება ქ. ბუზეოს მიმართულებით. გუშინდელ ოფიციალ დეპეშის გადმოცემით, მოპირდაპირეს სამ ადგილს განუახლებია შეტევა: მდ. ბუზეოს ველში ჩისლაოს ჩრდილო-ეთით, მდ. კრიკოვზე და ქ. მიზილის დასავლეთით. გენ. ფალკენჰაინს და გენ. მორგენს, რომელნიც ამ მიდამოებში მოქმედობენ, უპირველესად ქ. ბუზეოს ემუქრებიან. ჩვენ ორ სამ დღეში უკვე გავიგებთ ამ მიდამოში დიდი ბრძოლის დაწყებას. დანამდვილებით კი ამ ბრძოლას გადასწყვეტს უფრო ის სამხრეთით მომქმედი არმია გენ. დელმენზინგენისა, რომელმაც ქ. ბუქარესტი აიღო. უკანასკნელის მდგომარეობა უფრო მარჯვეა, უფრო უზრუნველ ყოფილია რაიმე ხიფათისაგან და, მაშასადამე, უფრო გაბედულადაც დაიწყებს მოქმედებას. გენ. ფალკენჰაინს და გენ. მორგენს ჯერ-ჯერობით ისევე ალპების ფერდობებში უხდებათ რუმინელებთან ბრძოლა. გენ. დელმენზინგენის არმიას კი წინ გაშლილი ველი უძევს. თუ უკანასკნელმა აქაც შესძლო ბრძოლის პირის გარღვევა, მაშინ რუმინელები იძულებულნი იქნებიან დასცალონ როგორც ქ. ბუზეო, აგრეთვე მთელი მიდამო, მოყოლებული ქ. მიზილიდან მდ. ბუზეომდე და დაიხიონ მდ. სერეტზე.

თუ ავსტრიელთ და გერმანელთ შესძლეს ქ. ბუზეოს აღება, მაშინ აღმოსავლეთით მომქმედი რუმინელთა ჯარი ძალიან მძიმე პირობებში ჩავარდება. ქ. ბუზეოდან მოპირდაპირეს საშუალება მიეცემა რკინის გზების დახმარებით გაილაშქროს ქ. გალაციაკენ და ამ რიგად უკან დასახევი გზა გადაუჭრას რუმინელთ. რაკი ბუზეო მოპირდაპირეს საკვებ ბაზად გადაქცევა, მაშინ, უეჭველია, მოლდავეთის ბრძოლის ველსაც დაუწყებს მუქარას და საშუალებას მისცემს მდ. პიტუზზე მდგომ თავის ჯარს განახლოს მოქმედება. ქ. ბუზეოს დაკარგვას უთუოდ დობრუჯის საკითხის გადაწყვეტაც მოჰყვება. რუმინელნი იძულებულნი გახდებიან თავისით დასტოვონ ეს პროვინცია და მდინარე დუნაის ამოეფარონ, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში ბუზეოდან წამოსული ჯარი ავსტრია-გერმანელებისა საშუალებას მოუსპობს რუმინელთ დახმარება აღმოუჩინონ დობრუჯში მოქმედ ჯარებს შაშინ, თუ მაკენზენი პირდაპირ დაიწყეს მათზე გალაშქრებას. ასეთია ქ. ბუზეოს სტრატეგიული მნიშვნელობა და, მაშასადამე, მოპირდაპირეც არაფერს დაზოგავს, რომ დროზე იგდოს ეს ქალაქი ხელში.

აღმოსავლეთ ბრძოლის ველზე მოპირდაპირეს მოულოდნელად იერიში მიუტანია კისელინის ახლო და მოწინავე სანგრები დროებით ჩაუგდია ხელში. ასე მოულოდნელად მოქმედების გადატანა ჩრდილოეთით უფრო იმით აიხსნება, რომ მოპირდაპირე, ეტყობა, ცდილობს რუსეთის სამხედრო შტაბს გაუგრძელოს სუსტი მხარე, დარწმუნდეს, თუ სად რამდენი ძალა უყენია და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყოს ოპერაცია.

ბუქარესტის აღებამ უკვე გავლენა იქონია საბერძნეთზე. როგორც კერძო დეპეშები იტყობინებიან, საბერძნეთის მეფე კონსტანტინე უკვე სხვა კილოთი ელაპარაკება მოკავშირეთა წარმომადგენელებს. მას განუცხადებია, რომ თუ მთანასკნელნი კიდევ წარუდგენენ საბერძნეთს მოთხოვნილებას, საბერძნეთი მათ აუცილებლივ ომს გამოუცხადებსო.

X.

ომის დეპეშები

30 გიორგობისთვე.

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზი. კისელინის სამხრეთ-დასავლეთით, ზუბლილნის მიდამოებში, მოპირდაპირემ, ზარბაზნების დაშენის შემდეგ, იერიში მოიტანა და ჩვენს ერთერთ როტას უკან დაახევინა, მაგრამ მალე მაშველი ჯარის დაბმარებით მტერი უკუვაგდეთ და ჩვენი წინანდელი მდგომარეობა აღვიდგინეთ. ტყიან კარპატებში, შიბეკის ჩრდილო-აღმოსავლეთით, 5 ვერსზე, და კაპულის მთის მიდამოებში მოპირდაპირემ შემოგვიტია, მაგრამ სროლით შევაჩერეთ. ბელვერის აღმოსავლეთ მიდამოებში იერიშით წამოსული მოპირდაპირე უკუვაგდეთ და ორი მაღლობიც დავიჭირეთ. მდ. სულტის ველში მოპირდაპირის იერიშები მოვიგერიეთ. გლასხიუტეს ჩრდილო-აღმოსავლეთით 6 ვერსზე, მდ. რუსას ველის სამხრეთით, ერთი მაღლობი ავიღეთ.

კავკასიის ასპარეზზე ცვლილება არ მომხდარა.

რუმინეთის ასპარეზი. 27 გიორგობისთვეს მდ. ბუზეოს ველში, ჩისლაუს ჩრდილოეთით, მდ. კრიკოვზე და მიზილის დასავლეთით მოპირდაპირეს უნაყოფო იერიშები მოჰქონდა. დობრუჯში სროლაა.

—

პარიზი. საღამოს ოფიც. ცნობა. რეიმსის ჩრდილო-დასავლეთით, ვილობუას მიდამოებში და დუოკონის მხარეს მთელ დღეს მედგარი ბრძოლა იყო ზარბაზნებით.

აღმოსავლეთის ასპარეზი. მონასტირის ჩრდილოეთ მიდამოებში მოკავშირეთა საომარ მოქმედებას უამინდობა აფერხებდა. გერმანელ-ბულგარელთა ჯარი მედგარს წინააღმდეგობას გვიწევს. განსაკუთრებით ცხარე ბრძოლა იყო „1050“ მაღლობთან, სადაც რუსის ჯარი იერიშით მიდიოდა. მაღლობი ხელიდან ხელში გადადის. სოფ. ვლაკპარის მახლობლად ფრანგებმა წინ წაიწიეს 800 ადლით. დანარჩენ ასპარეზზე სამხედრო მოქმედებას აფერხებდა წვიმა და ნისლი.

ლონდონი. ახალ სამინისტროში არის 12 ლიბერალი, 3 მუშათა პარტიის წარმომადგენელი, 15 უნიონისტი და 3 საქმიან ინგლისის წარმომადგენელი. სამინისტროს გულს შეადგენენ: ლლოიდ-ჯორჯი, ჰენდერსენი, მილნერი, კერზონი და ბონარ-ლოუ. ესენი მხოლოდ ომის საკითხების განსახილველად მოიყრიან თავს სამხედრო მთავარ შტაბის უფროსის რობერტსონის და ამირბარ ჯელიკოს თანადასწრებით.

ლონდონი. რეიტერის სააგენტო იტყობინება: ცივლადის კუნძულებზე რევოლიუციამ იფეთქა. მოსახლეობა ვენიზელოსს მიემხრო. ეგვიპტის ახალშენი მეფეს გადაუდგა, იგი საბერძნეთის სამეფო ტახტის ღირსად არ მიაჩნიათ.

ლონდონი. რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს: მოკავშირენი საბერძნეთს წარუდგენენ დაწვრილებით ჩამოთვლილ მოთხოვნილებათ. უპირველესად მოითხოვენ, საბერძნეთმა დაითხოვოს თავმოყრილი ჯარი, მოკავშირეთა მეთვალყურეობა საბერძნეთის ფოსტა-ტელეგრაფსა და რკინის გზების, რომელნიც საბერძნეთის მთავრობამ გააუქმა, აღდგენილ იქმნას და ვენიზელოელნი გაანთავისუფლონ.

ლონდონი. ლლოიდ-ჯორჯმა თემთა პალატის წევრებს შემდეგის წერილით მიჰმართა: მისმა უდიდებულესობამ—მეფემ დამავალა სამინისტროს შედგენა. აღვასრულე რა მისი უდიდებულესობის დავალება, 29 გიორგობისთვეს ვაპირებდი პალატისათვის მოხსენება წარმედგინა, მაგრამ ეხლა ეს შეუძლებელი გახდა. ამის გამო ბონარ-ლოუ, თემთა პალატის ბელადი, სამშაბათს წინადადებას შემოიტანს, რომ პალატის ხსდომები 1 ქრისტიშობისთვისათვის გადაიდოს. მთავრობის უმთავრეს საგანს შეადგენს ომის ენერგიული გაგრძელება და მისი დამთავრება გამარჯვებით. დარწმუნებული გახლავართ, მთავრობამ იმედი უნდა იქონიოს თქვენის დახმარებისა იმ დრომდე, სანამ იგი მარჯვედ მიჰმართავს თავის ძალ-ღონეს ამ მიზნის მისაღწევად.

პარიზი. დღის ოფიც. ცნობა, გუშინ, საღამო ხანს, გერმანელებმა ზარბაზნების საშინელი სროლის შემდეგ, იერიში მოიტანეს დელეჟის ტყის აღმოსავლეთ წარაფებში მდებარე სანგრებზე. ჩვენ მტრის ცალკ-ცალკე რაზმებს, რომლებიც ჩვენს სანგრებში შემოიჭრნენ, ხელის ყუმბარები დავაყარეთ და უკან გავგდეთ. ჩვენი ბრძოლის ხაზი კვლავ აღვადგინეთ.

მახლობელ აღმოსავლეთში, ვარდარის მარჯვენა ნაპირას, მდ. ჯუმნიცას სამხრეთით ავიღეთ ბულგარელების პატარა თხრილი. მონასტირის ჩრდილოეთ მიდამოებში მოპირდაპირემ ჯარის მოქმედება შეაჩერა, თუმცა ორივე მხარე მედგრად ისწრის ზარბაზნებს.

სტრუმის ასპარეზზე მოპირდაპირის საფრენი ჩამოვაგდეთ. დოირანის მიდამოებში, ვარდარის ხაზზე ჩვენმა მფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს მტრის ბანაკს.

ტოკიო. მინისტრთა საბჭომ დაადგინა ოიამას დაკრძალვა სახელმწიფოს ხარჯით მოხდეს. გადაიდო 45 ათასი იენი.

საფრანგეთის პარლამენტში

პარიზი. 28 გიორგობისთვე. ჰავასის სააგენტო იტყობინება: ბრიანი განაგრძობს პოლიტიკურ მოღვაწეებთან და ცნობილ ვაჭარ-მრეწველებთან მოლაპარაკებას სამინისტროში ცვლილების მოხდენაზე. განზრახულია სამინისტროს წევრთა შემცირება. სამინისტროში აღარ იქნებიან უპორტფელო მინისტრები. სხვა და სხვა სამინისტროთა დეპარტამენტებს გააერთიანებენ. მაგალითად, განზრახვა აქვთ ერთ მინისტრს დაუქვემდებარონ მშვიდობიან მოქალაქეთა და ჯარის სურსათის მიწოდების საქმე. ვაჭრობა-მრეწველობისა და მიწად-მოქმედების სამინისტროთა ნაცვლად დაარსდება ეროვნულ ეკონომიის სამინისტრო. სამხედრო მრეწველობას საგანგებო სამინისტრო განაგებს. სტატს-სეკრეტრებად დაინიშნებიან ტეხნიკურ განათლება-მიღებულნი. შესდგება მცირერიცხვოვანი აღმასრულებელი ორგანო. ამ სამხედრო კომიტეტში შევლენ უმთავრესი მინისტრები და ეროვნულ თავდაცვის მინისტრი. მათი სხდომები შეუჩერებლივ იწარმოებს, რათა ყოველ წუთს შეეძლოთ რაიმე გადაწყვეტილების მიღება, რაც ომის საქმეს ეხება.

ქრონიკა-გაზეთებიდან

საბერძნეთი.

საბერძნეთში საქმას გამოსწორების გამო „დენ“-ი სწერს: ადვილი მოსალოდნელია, რომ მოკავშირეებმა საბერძნეთს ომი გამოუცხადონ. მოკავშირეთა დიპლომატია ყოველ ღონისძიებას ხმარობდა საბერძნეთთან საქმე არ გაემწვავებინა. ამის გულისათვის ისეთი ნაბიჯები გადადგა, რომელიც ვერავითარ ლოღიკის ფარგლებში ვერ მოთავსდება. საბერძნეთთან საქმე გამწვავდა მაშინ, როდესაც მოკავშირეებმა პირველად გადასცეს ვენიზელოსის მინისტრობას დესანტი მასთან შეთანხმებით. ვენიზელოსი იძულებულ ჰყვეს თანამდებობიდან გადამდგარიყო. მაგრამ საერთაშორისო დამოკიდებულების ძალით მოკავშირეებს უფლება ჰქონდათ ვენიზელოსის მოცემული პირობის შესრულება ახალი სამინისტროსაგანაც მოეთხოვნათ. თუ საბერძნეთის მთავრობა უარს იტყოდა, მაშინ ულტიმატუმი უნდა წარედგინათ და ომიც გამოეცხადებინათ მისთვის.

მოკავშირენი კი ასე არ მოიქცნენ. მათ საბერძნეთში ორმაგი პოლიტიკის წარმოება იწყეს. ამან კი ისეთი გარემოება შეჰქმნა, რომ მოკავშირეები ორპირ-ხალხად გამოიყვანა. მოკავშირენი შეცდომაში შევიდნენ იმ საკითხშიაც, რომ წარმოიდგინეს ვითომც მთელი საბერძნეთი ვენიზელოსის თანამოაზრეა და მეფე კონსტანტინეს ძალიან ვიწრო წრეში თუ აქვს გავლენაო. სინამდვილემ სულ წინააღმდეგი გამოააშკარავა.

გაზეთების შეჯერება.

ათინაში მომხდარ ბრძოლის შემდეგ, ვენიზელოსის თანამოაზრეთა გაზეთები სულ დახურეს. ეხლა მხოლოდ ვენიზელოსის მოწინააღმდეგეთა გაზეთებიღა გამოდის.

ჯარის რაოდენობა.

სტოკჰოლმიდან იტყობინებიან: ათინაში მეფეს თავი მოუყრია 70 ათასი მეომრისათვისაო.

მეფე კონსტანტინეს განცხადება.

მეფე კონსტანტინემ მოკავშირე და ცენტრალ სახელმწიფოთა მთავრობათ აცნობა: შეიარაღებულ ნეიტრალობას მტკიცეთ ვიცავ და არავის აღარაფერ დაეუთმობო. ხოლო თუ მოკავშირენი კვლავ წამომიყენებენ რაიმე მოთხოვნილებას ამას ომის გამოცხადებად ჩავთვლიო.

რუმინეთი

ბუქარესტის სიმაგრენი.

ბუქარესტის დაცლა სამხედრო მიმოხილველთა აუცილებლად მიაჩნდათ, რაკი იგი სამი მხრით ალყაშემორტყმული აღმოჩნდა, რადგანაც ბუქარესტის სიმაგრენი თანამედროვე მძიმე ზარბაზნებს ვერ გაუმაგრდებოდნენ. ეს სიმაგრეები ყოფილა იმ სიმაგრეთა მსგავსი, რომლებიც გერმანელებმა მძიმე ზარბაზნებით გაანადგურეს ლიეჟსა და ნამიურში. ამ სიმაგრეთა უმთავრესი ნაკლი არა ყოფილა, რომ მეტისმეტად მომჩინარენი არიან. მათ ძალიან ნაკლები ზარბაზნები ჰქონიათ და თოფებისა და ტყვიისმტყორცნელთა სათოფურებიც მცირე ჰქონიათ. მისი კედლები მეტად მაღლაა ამართული და სისქითაც ისეთია, რომ ახალ ზარბაზნებს ვერ გაუძლებს და ერთ-ორ ყუმბარის მოხვედრის შემდეგ ქუცმაცებად იქცევა. ახალი მძიმე ზარბაზნების დადგმაც მოუხერხებელი ყოფილა, რადგანაც ყოველი კოშკი ზარბაზნის მიხედვით არის აგებული. ბუქარესტში ვარაუდით 700 ზარბაზანი უნდა ჰქონოდათ, აქედან ერთი ფის მეტი მაგას არც რამე სწამს, არც რამე შეუძლიან.

— სიტყვაბარაქიანი კი ძალიან არის და ბაქია. რები არ აღგვითქვა! ამ სამსახურში შევალ, იმ საქმეს დავდგები; მალე ცოლ-შვილს წავუყვან; ჩვენებსაც ჩვენთან გადმოვიყვან და ისევ ბატონკაცურად ვაცხოვრებ...

— ენას ჰალი არ ედება. ქარსიტყვას შრომა არ უნდა, არც ოფლის მოწურვა. ენის წვერით ადამიანი ქვეყანას ერთ წუთს გადააბრუნებს და ისევ გადმოაბრუნებს. არა! მაგას შრომის შნო არა აქვს, ცოლ-შვილის შენახვის უნარი: უსაქმობა უკვე ბუნებაში გასჯდომია და მხოლოდ სასწაული გაჰკურნავს ამ უკურნებელ სნიდან,—დაასკვნა პორფირემ.

და მიეცა ცოლ-ქმარი მწარე საგონებელს თავის ქალის უბედო ბედის შესახებ. ამაოდ! ფეფიკოს ცხოვრების გზა ჩახერგილი მოსჩანდა მათ თვალწინ და დახშულ-დაკეტილი.

25.

ამის შემდეგ ორჯერ-სამჯერ ღა შემხვდა ლადიკო, ისიც შემთხვევით. შეითან ბაზარზედ მივდიოდი, აბანოებისაკენ, და იქ შევნიშნე ის. გახუნებული ტანისამოსი ეცვა, გახუხული ქუდი ეხურა; წალა წაჰგრებოდა, თუმცა სუფთად იყო ნაწმედი. გზა ავუქციე: ახლო ვიცნობდი მას, როცა კარგი ქარი უქროდა, და შერცხვებოდა თავის დაკნინებულ ყოფისა, თუ შევეხეჩებოდი. შემდეგში უფრო კარგ ვერემოებაში ვნახე. ტრამვაიზედ ვიჯექი, უეცრად ნაცნობი ხმა მომესმა:

— ქალბატონო, თუ შეიძლებოდეს, თქვენი ბილეთი!

და კვლავ:

— მომეცით ნება, მოგეხმაროთ ჩამოსვლაში!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესამედი ან მეოთხედი დიდი ზარბაზნები უნდა ყოფილიყო. თავდაცვის ფარგალი კი 75 ვერსს უდრიდა. მაშასადამე, თითო ვერსზე 2 შორს-მსროლელი ზარბაზანი ჰქონიათ, რაც მეტის-მეტად ცოტაა. პოზნანში, მაგალითად, რომლის მოსაგერიებელი ბაზი მხოლოდ 27 ვერსს უდრის, ერთი ორად იმაზე მეტი ზარბაზნები სდგას, ვიდრე ბუქარესტში იყო. ისე, რომ თითო ვერსზე, საშუალოდ, 15 დიდი ზარბაზანი მოდის. გერმანელებს შეეძლოთ თითო ვერსზე ბუქარესტის გარშემო სხვა და სხვა მანძილზე დაედგათ ასამდე ზარბაზანი. ადგილი წარმოსადგენია, რომ ბუქარესტის შეიარაღება ვერაფერს პასუხს გასცემდა მათ.

ამისათვის მოხდა ბუქარესტის დაცლა. რუმინეთის ჯარი გაერიდა ბუქარესტს. მათი ზურგის ჯარი საფარად დაუდგა წინ მავალ ჯარს და ბრძოლით უკან იხევს.

გემის დაღუპვა.

ქრისტიანიიდან იტყობინებიან: გერმანელების წყალქვეშამ დაჰღუპა ხორვეგიის გემი „ჰატეროი“, რომელიც ბეტებორგიდან იტალიისაკენ მიემართებოდაო. გემი დაზღვეული ყოფილა 1.700,000 კრონად.

უკანასკნელი ცნობები

გალიციის ფრონტზე აღმოჩენილა ხსმალური ფესიანი მებრძოლი მეომრები. პირველად ჰგონებიათ ბოსნიის პოლკები, მაგრამ შემდეგ გამორკვეულია, რომ აქ საბრძოლველად გადაუყვანიათ საკმაო რიცხვი კარგად შეიარაღებული ოსმალთა.

—

გერმანელები რუმინეთში დანგრეულ რკინის გზებს და ნაკეთებ გზებს აღდგენენ. ბუქარესტში გერმანელებმა თავიანთ გენერალ-გუბერნატორად ფონ-ჰაირიხი დანიშნეს.

—

ინგლისის პრემიერ მინისტრს ლოიდ-ჯორჯს მუშებისთვის უთქვამს: კაბინეტის დადგენილებით ომი უნდა გაგრძელდეს, ომის დროს მუშებს დიდი მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ მუშების კიდევ რაიმე ზედმეტი მოთხოვნილება არავითარ შემთხვევაში არ იქნება დაკმაყოფილებული.

—

გერმანეთში საჭარო ბეგარის პროექტის მიხედვით, მთელს სახელმწიფოში სურსათი სახელმწიფო საკუთრებად გადადის. ქალაქ-დაბა-სოფლებში გაკეთდება სამზარეულოები, საიდანაც მდიდარს და ღარიბს ერთნაირი საჭმელი მიეცემა.

დეპეშა

(საკ. კორესპოდენტისაგან)

სილნალი. სილნალის მკვდარი და მივიწყებული სამეურნეო ამბანაგობა აგრონომ დავით სამადაშვილის მეცადინეობით აღდგენილ იქმნა და უკვე მოქმედებასაც შეუდგა. მთელს სილნალის მაზრაში ნავთი და შაქარი არ იშოვება. შეშის ფასმა ერთი ათად აიწია, საფუნი 100 მ. ფასობს. თამბაქო ფუთი ექვს თუმანში იყიდება. ღვინო ხაპალნე 400—500 მ. ფასები ხაშინლად იწევს. მუშა დღეში 4 მ. ფასობს.

გავიხედე,—ლადიკო სასიამოვნო ღიმილით ხელს უწვდიდა სუფთად ჩაცმულ მანდილოსანს, რომელსაც ფეხი ჩამოედგა კიბეზედ. დამტარებელთა მეთვალყურეობა მიეცათ. სუფთა ტანისამოსი ეცვა ბუკვრიალა ღილებიანი. ულვაშები მოხდენილად აეწკიპნა. თავს აწონებდა იმ ვიღაცა მგზავრ ქალს. განშორდა მატარებელს, ჩემამდინ აღარ მოახწია: ვგონებ, შემნიშნა. სულ ბოლოს სამხედრო ტანისამოსში გამოწყობილს მოვკარ თვალი: მეომართა მცირე რაზმს უძღვოდა, სვლას თუ იმართულებას უხელმძღვანელებდა თვალებს უბრიალებდა შემდეგში აღარსად შემხვედრია ლადიკო, აგერ ორი წელიწადია თვალი აღარ მომიკრავს მისთვის.

ფეფიკო მამის სავსე ოჯახში მალე მთლად გამობრუნდა. შვილიანობის შემდეგ უფრო გადიფურჩქნა, დასრულდა, გაიბადრა, ავი თვალით არ ინახებოდა. უხდებოდა ნატანჯ ქალს დაფიქრებული იერი: საიდუმლო გამომეტყველებას აძლევდა მის თვალებს დარდის ნასახი.

— ე ჩვენ ფეფიკოს რომ დავინახავ პირისფერ კაბაში და ბალღით ხელში, ღმერთო ნუ მიწყენ, ღვთისმშობელი მგონია ძოწეულით მოსილი. ლამის ვილოცო ი დალოცვილი. მხოლოდ პატარა იესოს სიცოცხლით სავსესა ჰხატამენ, ამის ბავშვი კი სუსტია, ფერმკრთალი; ავადმყოფი არისო,—ამბობდა გულში მახარე.

და რომ გადახედავდა იქით ეზოში მიმომსვლელს ქალს, თვალს ვეღარ მოსწყვეტდა გრძნობა აშლილი. უკვირდა, რაღად იზიდავდა მის არსებას ესე ძლიერად იგი ქალი, მისთვის უკვე უცხო, სხვისგან ხელშეხებული და სხვისა კერძი. ხომ აღარაფერი საერთო აღარ იყო მათ შორის, აღარც შეიძლებოდა ყოფილიყო და მაშ რაღად იყო მისი თვალი მარად იქით მიქცეული, თავს რაღად ევლებოდა მას ფიქრი მისი მარად ჟამს, მისკენ რაღად ისწრაფიდნენ მისი ძლიერი სურვილები. ახ, უაზროდ ღა მოსჩანდა მახარეს გონების თვალთ წინ ეს მისი მილტოლვა. გულს მაინც ნეტარებად მიაჩნდა ეს მისი მოქმედება, ბრმა გულს თვალდამდგარს, რომელს ისიც კი ვერ შეეგნო, რომ ფეფიკოსათვის ადრეც არ არსებობდა იგი და ეხლა ხომ აღარც შეიძლებოდა მისკენ გადაბრილიყო ქალის გონება.

არ იცოდა ბეჩავმა მახარემ, რომ ფეფიკოს აზრიც და გულიც მისკენ მიხრილიყვნენ. ქალი შეცდომადა სთვლიდა წარსულს, გასწორებულ შეცდომად, გარნა ოცნება ჯნებლიედ სურათს სურათზედა ჰხლიდა მის წინ და თვალი წარმტაცად ჰხატავდა იმას, როგორ მოეწყობოდა მისი ცხოვრება, თუ მახარეს გაჰყოლოდა მაშინ, თუ ეს ბალღი, პატარა მისი შალიკო, ყოფილიყო ნაყოფი ერთობისა ამ შეყვარებულ კაცთან, რომელიც ეხლაც მისი ეშხით არის დაბმული და უღონოქმნილი.

— ქმარ-შვილიანი ქალი და სხვა ვაჟკაცზედ ვფიქრობ! როგორ შეიძლება?! ღმერთმა ის გაიმეტა ჩემთვის და აღ ბათ მეტის ღირსი არ ვიყავი,—ამბობდა ქალი

და ცდილობდა ჩაეკლა თვისი ცოდვილი ოცნებები. ამაოდ! ოცნება არ ემორჩილებოდა მის ნებისყოფას.

ვ. ბარნოვი.

ახალი ამბავი

სასახლეში

◆ **დეპეშა მთავარხარდალს ჟოფრს.** მეფის ნაცვალმა წმ. გიორგის ორდენის ხსენების დღეს გენერალისიმუს ჟოფრისაგან მიღებულ დეპეშაზე საპასუხო სამადლობელი დეპეშა გაუგზავნა.

— **მეფის ნაცვალს** სადარბაზოდ წარუდგა გამიდ-ბეგ ზიულგადაროვი, განჯის გუბ. მემამულე. დარბაზობის შემდეგ გ. ზიულგადაროვი მიწვეულ იქმნა საუზმეზე.

ძარცული დაწესებულებანი.

◆ **ჯარ. საქველმოქ. ხაზ.** მთავარმა გამგეობამ ბათომის განყოფილებას გაუგზავნა 6405 მან. სკოლებისა და საავადმყოფოს ხარჯების გასაძღოლად. ახალციხის განყოფილებას გაუგზავნა: 1) „დედა-ენის“ პირველი ნაწილი 40 ცალი, 2) ეგ. ხრამელაშვილის „ანგარიში“-ს პირველი ნაწილი 40 ცალი, 3) საანგარიშო რვეულები 80 ცალი და 4) ქართული წერის რვეულები 40 ცალი.

◆ **წერა-კითხვის** გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ 29 გიორგობისთვეს დაადგინა: 1) გამოსცეს ექ. მ. წინამძღვრიშვილის მიერ შედგენილი წიგნი „გადამდები სნეულებანი და მათთან ბრძოლა“ 2100 ცალი და 2) ქ-ნ ეკატ. გაბაშვილის მოთხრობანი 2100 ცალი. იწყვია გეობამ: ყალამშიის სკოლისათვის თამარ თვალჭრელიძისა და წერაქვის სკოლისათვის სწავლებლებად ეკატერინე ბახტაძისა. გამგეობამ მოისმინა საზოგადოების სკოლების მეთვალყურის ბ-ნ გრ. ბურჭულაძის მოხსენება განჯის განყოფილების შესახებ. როგორც მოხსენებიდან სჩანს, 31 ღვინობისთვეს განყოფილების შემოსავლის ნაშთი უდრიდა 2.533 მან. განყოფილებას დიდი ხანია სკოლის დაარსება უნდოდა განჯაში, მაგრამ აქამდისინ ვერ მოუხერხებია იმის გამო, რომ განჯაში ქართველობა დროებით მცხოვრებ ელემენტებს წარმოადგენს.

◆ **შეამდგომლობა.** ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების თელავის განყოფილებას განუზრახავს ომიანობისაგან დაზარალებულთა ბავშვებისათვის, რომელნიც სასწავლებლებში არ მოჰყვნენ, მომავალ იანვრიდან დაარსოს წერა-კითხვის ერთი კლასი. ყოველსავე ხარჯს თითონ განყოფილება კისრულობს, მხოლოდ 400 მანეთს სთხოვს საზოგადოების მთავარ გამგეობას მასწავლებლის ჯამაგირად. განყოფილება აგრეთვე 300 მანეთსა სთხოვს მთავარ გამგეობას. ეს ფული სჭირდება მას ცნობების შესაკრებად ომისაგან დაზარალებულ ოჯახების შესახებ.

ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ.

◆ **მეფის ნაცვლის საბჭომ** კავკასიაში ერობის შემოღების შესახებ ჯერ ჯერობით განიხილა კანონპროექტის 21—49 და 50—76 მუხლები. თანახმად 21—49 მუხლისა საბჭომ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება: მთელი საერობო ამომრჩეველნი სამ კურიად იყოფებიან. პირველში შედიან ყველა წოდების მემამულენი, მეორეში ქალაქის უძრავ მამულების და სავაჭრო და საქარხნო დაწესებულებათა პატრონნი, რომელნიც 2 პროცენტს იხდიან საერობო გადასახადს, აგრეთვე წარმომადგენელნი სამეცნიერო, სამოსწავლო, საქველმოქმედო და სხვ. საზოგადოებათა, ხოლო მესამე კურიაში—ამომრჩეველნი სოფლის საზოგადოებათა. სამთავე საარჩევნო კრებები, მეფის ნაცვლის სურვილისამებრ, შეიძლება დაყოფილ იქმნას გუბერნიებად. საარჩევნო სიების შედგენის წესრიგი შეთანხმებულია შიდა რუსეთის საერობო წესრიგთან. თავმჯდომარეობა თბ. და ქუთ. საგუბერნიო კრებებისა მიენდობა თავად-აზნაურთა საგუბერნიო წინამძღოლებს, ხოლო დანარჩენ გუბერნიების კრებებზე—ერთ-ერთ საგუბერნიო ხმოსანს, მეფის ნაცვლის ამორჩევისამებრ. 50-60 მუხლის განხილვის დროს კრებამ საერთოდ ისეთივე დადგენილებანი მიიღო, როგორიც 1864—1890 წლების დებულებაშია აღნიშნული.

სოფლეთა შორის.

◆ **თბილი სამოსელი.** არქიმანდრიტ გეორგს 100 ათასი მანეთის საქონელი შეუძენია გამოქცეულ სომეხთათვის საზამთრო ტანთსაცმელების დასამზადებლად.

◆ **სომეხთა ცენტრალ კომიტეტმა** ი. ა. მანთაშევისაგან 5,000 მანეთი მიიღო ლტოლვილ სომეხთა სასარგებლოთ.

◆ **გენერალ თამამშევის** განკარგულებით აზრუმში გაუგზავნეს სამხედრო უფროსს 30 ათასი მანეთი და № კორპუსის უფროსს 20 ათასი მანეთი ომისგან დაზარალებულ სომეხთა სასარგებლოდ.

სხვა და სხვა ამბები.

◆ **სახელმწიფო სესხის განაღდება.** 28 გიორგობისთვემდის ახალ სახელმწიფო სესხიდან გაუნაღდებია თბილისის სახელმწიფო ბანკის კონტორას 7,938, 150 მანეთი. ამ თანხის განაღდება უკისრნია 490 კაცს. ამავე დროს განმავლობაში თბილისის ხაზინას გაუნაღდებია 243,240 მანეთი.

◆ **თბ. პოლიტეხნიკუმის საკითხი.** 2 ქრისტეშობისთვეს განხილულ იქნება სახელმწიფო საბჭოს საფინანსო განყოფილებაში.

◆ **ა. ი. გუჩკოვის** მონაწილეობით ამ დღეებში საზეიმო საღამო იმართება.

◆ **აგრონომთა ყრილობაზე,** რომელიც ამ დღეებში შესდგა, გადაწყდა მოეწყოს ფართე ნიადაგზე სასოფლო-სამეურნეო იარაღის შეძენის საკითხი.

◆ **ქალაქთა კავშირიხ** მეშვიდე სატრანსპორტო განყოფილების გამგედ ბ. ქარცივაძე დაინიშნა.

◆ **სახოფლო სამეურნეო ჟურნალი.** გამოვიდა განახლებული სასოფლო სამეურნეო ჟურნალი „მოსავალი“ № 2. ჟურნალში ბევრი საჭირო ცნობებია მოთავსებული და სუფთად არის გამოცემული.

ᲪᲮᲣᲗᲐᲔᲗᲘᲡ.

ნიკ. ბარსთაშვილის დაბადებიდან ასი წლის შესრულებას ქუთაისის ყველა დაბალსა და საშუალო სასწავლებლებში შესაფერად იდღესასწაულეს.

— **უპურობა.** ეს ერთი კვირაა ქალაქში პური არსად იშოვება, მეფურნეები მჭადს აცხობენ და გირვანქას 8 კ. ჰყიდიან.

— ქუთაისის ცნობილი ფქვილით მოვაჭრის მ. მოშიაშვილის შვილმა განცხადება შეიტანა ქალაქის გამგეობაში, უზრუნველეყოფ ქალაქს საუკეთესო ხარისხის ფქვილით ნაკლებ ფასებში, თუ მამაჩემს მ. მოშიაშვილს ქუთაისში ცხოვრების ნება მიეცემაო. გარანტიათ ხსენებული მოშიაშვილი აძლევს ქალაქს 70 ათას მანეთს.

— ქალაქში სანოვაგე დღითი დღე ძვირდება. ფუთი სიმინდის ფქვილი 4 მ. და ათ შაურათ ფასობს.

— რადგანაც ქუთაისში მაზუთი გამოიღია, ეს ათი დღეა, აბანოები დაკეტილია.

— ქუთაისის სახელმწიფო ქონებათა სამმართველომ, სამიწადმოქმედო დეპარტამენტში წარადგინა დასამტკიცებლათ 27 ღვინობისთვეს იჯარით გაცემულ მამულების აქტები.

— ქუთაისის ახლო-მახლო სოფლები უკვე დათოვა, ამიტომ ბაზარზე შეშა ნაკლებათ შემოდის და თუ შემოდის, სოფლის ურემს 12 მანეთად ჰყიდიან.

თელავი.

6 ქრისტეშობისთვეს, სამოქალაქო სასწავლებელში, პირველდაწყებით უმაღლეს სასწავლებლის მოწაფეთა მიერ, გაიმართება ქართულ-რუსული წარმოდგენა: წარმოდგენილი იქნება ქართულად „უბედური დღე“ ვ. ბალანჩივაძისა. რუსულად „იუბილეი“ ჩეხოვისა.

ᲛᲔᲪᲓᲜᲔᲗᲐ ᲒᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐ

გუშინდელ №-ში ლ. ჯაფარიძის წერილში შემდეგი კორექტურული შეცდომებია:

სწერია: დასავლეთი **საქართველოს**, ცომბირის ერობათა და ქალაქთა წარმომადგენლების ყრილობა. წინადადებაში შეცდომით შეტანილია სიტყვა **საქართველო.** შემდეგ სწერია: მემარცხენეებმა ობსტრუქცია შტიურმერის მეორე **გამოსვლებს**, ტრეპოვს გაუმეორესო. უნდა იყოს: მემარცხენეებმა ობსტრუქცია შტიურმერის მეორე გამოცემას, ტრეპოვს გაუმეორეს. სწერია: მილიუკოვისა და შულგინის სიტყვებზედ უფრო მაგარი სიტყვები გაზეთის ფურცლებზედაც უკვე თავს მაგრამ „ელექტრონის ნაპერწკლებს“ იჩენენ, თავისისი ძალა ნელ-ნელა ეკარგება. უნდა იყოს: მილიუკოვისა და შულგინის სიტყვაზედ უფრო „მაგარი“ სიტყვები გაზეთის ფურცლებზედაც უკვე თავს იჩენენ, მაგრამ „ელექტროხის ნაპერწკლებს“ თავისი ძალა ნელ-ნელა ეკარგება.

სახელმწიფო სათათბირო

29 გიორგობისთვის სხდომა. თავმჯდომარეობს **როდზიანკო.** თავმჯდომარის ამხანაგი **ნეკრასოვი** აქვეყნებს განსაკუთრებულ თათბირის მიერ წარდგენილ კომისიათა საერთო რიცხვის სიას. თავმჯდომარე განმარტავს, რომ სათათბიროს პარტიათა შორის მომხდარ ცვლილებათა გამო, წამოყენებული სია კენჭის ყრით უნდა იქნეს მიღებულიო. კენჭის ყრა გადადებულ იქმნა შემდეგ სხდომისათვის.

კოვალევსკი მხარს უჭერს 23 დეპუტატის მიერ წამოყენებულ წინადადებას განსაკუთრებულ კომისიის არჩევის შესახებ საუნივერსიტეტო წესდების განსახილველად.

ხსენებულ წინადადებას სათათბირო ხმის უმეტესობით იღებს.

სასურსათო საკითხი.

გრძელდება წარსულ კრებაზედ შეწყვეტილი სასურსათო საკითხის განხილვა.

სინადინო ათავებს თავის სიტყვას და აღნიშნავს, რომ სიძვირის ერთ-ერთ მიზეზად ის უნდა ჩაითვალოს, რომ 1912 წლიდან დაწყობული, რკინის გზათა შენების საქმე ცუდათ სწარმოებდა, აგრეთვე ტვირთის ხშირი დაკარგვა. თუ უწინ დაკარგული შაქრის რაოდენობა ვაგონზედ 1—1½ ფუთს არ აღემატებოდა, ეხლა 3 ფუთამდის ადის. შემდეგ ორატორი აღნიშნავს სიძვირის წარმოშობის სხვა მიზეზთაც, რომელთა შორის საყურადღებოა ის ორ-მთავრობა, რომლის გამო ერთ და იმავე საკითხში სამხედრო უწყება ეჯიბრება სამოქალაქოს. სინადინო ასურათებს ისეთს ორგანიზაციას, რომელიც, მისი აზრით, აუცილებლად საჭიროა.

გოდნევის აზრით, რუსეთში ორი მთავრობაა: ერთი ბრძოლის ველზე, მეორე შინა, რუსეთში. პირველი დაწესებულია სუხომლინოვის მიერ და მრავალი ამ მართველობაში ჩვენთვის დღემდისაც დაფარულია. აქ კი მოქმედებს სამიწადმოქმედო სამინისტროს სასურსათო განყოფილება, რომელიც საკანონმდებლო დაწესებულებათა დაუკითხავად არის დაწესებული. ჯართა წინამძღოლებს და კორპუსთა უფროსებს განსაკუთრებული რწმუნებანი აქვთ ამა თუ იმ რწმუნების სხვისთვის გარდაცემის უფლებით. ამათვე უნდა მიუმატოთ სამოქალაქო მოხელეები, ისეთისავე ძალის რწმუნებით. შემაერთებელ ორგანოს მოუწყობლობის მიზეზით არავინ იცის: სად რამდენია საჭირო და ვის რამდენი უნდა. ყველგან მოქმედების შეუთანხმებლობაა. სამიწადმოქმედო სამინისტრო სრულებით გამოუსადეგარი აღმოჩნდა ამ საქმისათვის. დაკისრებულ პასუხისმგებელ მოვალეობათა აღმსრულებლებად სრულებით მოუმზადებელნი პირნი აღმოჩნდნენ. უნდა დაარსდეს განსაკუთრებული უწყება, ძლიერი ცენტრალი ორგანო, რომელიც შეაერთებს ფრონტს და მის ზურგს სურსათისა და ტრანსპორტის საქმეში. ხელმწიფებისა და ხალხის წარმომადგენლებმა ისეთი მთავრობა უნდა შეადგინონ, რომლის უმთავრესი მიზანი სახელმწიფო წყობილების განმტკიცება და იმ 17 ოქტომბრის დებულებათა ცხოვრებაში გაყვანა იქნება. ის მთავრობა, რომელიც სახალხო წარმომადგენლობას არ ემყარება, შეცვლილი უნდა იქმნეს და უნდა განახლდეს მართველობის მთელი სისტემა; უამისოდ სასურსათო საქმის მოწყობა ყოვლად შეუძლებელია (ტაში მარცხნით და ცენტრში).

1-ლ საათ. კრება დროებით შესწყდა.

(დასასრული იქნება)

საპარლამენტო ქრონიკა

არჩევნები სახელმწიფო საბჭოში.

სახელმწიფო საბჭოს წევრად ვაჟპარტა მრეწველთაგან ხელ მეორედ არჩეულ იქმნა სტატეევი.

ა. დ. პროტოპოპოვი.

პროტოპოპოვის ავადმყოფობას საპარლამენტო წრეებში ყურადღებას აქცევენ. ამბობენ, ვითომ თვით პროტოპოპოვს განეცხადებინოს, რომ იგი მინისტრის თანამდებობას აღარ ასრულებს და ბრძანება მისი გადადგომის შესახებ ამ დღეებში გამოცხადდებაო. თავრიდის სასახლეში ამ ხმებს სამართლიანად სთვლიან.

ფიქრობენ აგრეთვე, რომ მისი ავადმყოფობა ძალიან დიპლომატიურია, რადგან საშუალებას აძლევს სათათბიროს სხდომებს არ დაესწროს, ხოლო სამსახურიდან იგი გადადგება არა უგვიანეს 15 ქრისტეშობისთვისა, როდესაც სათათბიროს საშობაო არდადეგებისათვის დაითხოვენ.

ამასთან ერთად, პროტოპოპოვმა განკარგულება მოახდინა, რომ მისი ცერძო ბინა მოწყობილ იქნეს.

პროგრესიული ბლოკი და საქმიანი მუშაობა.

პროგრესიულ ბლოკის ბიურომ დაავალა ნეკრასოვს, გოდნევს და გრაფ კაპნისტს, სათათბიროს პორტფელში შენახული მთელი საკანონმდებლო მასალა გაარჩიონ და მომავალ მუშაობის გეგმა შეადგინონ. ამასთან ერთად ბიურომ დაავალა განსაკუთრებულ კომისიას გამოარკვიოს, შესაძლებელია თუ არა სათათბიროს კომისიათა რიცხვის შემცირება მუშაობის მეტი ნაყოფიერებისათვის.

მემარჯვენეთა ფრაქციის თანდათანობითი დაშლა.

დღემდე მემარჯვენეთა პარტიიდან გამოვიდნენ: 5 მღვდელი, 7 გლეხი, ერთი თავადი და ერთი აზნაური.

ჯერ-ჯერობით ფრაქციაში ირიცხება მხოლოდ 14 დეპუტატი.

გამოსული დეპუტატები აარსებენ დამოუკიდებელ ფრაქციას, თავად გალიციინის მეთაურობით.

კადეტთა ფრაქციაში.

კადეტთა ფრაქციის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა მილიუკოვი. თავმჯდომარის ამხანაგებად: შინგარიოვი და ჩერნოსვიტოვი, ხოლო მდივნად პანკეევი.

მთავრობა და სათათბირო.

სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ მთავრობასა და სათათბიროს შორის ბრძოლა ამ დღეებში კომპრომისით უნდა გათავდეს. შეეცდებიან, რომ 10 ქრისტეშობისთვემდე, როდესაც საკანონმდებლო დაწესებულებათ უქმეების გამო დაითხოვენ, მხოლოდ ნაწილობითი ცვლილებებით დაკმაყოფილდნენ, რომელნიც არავის დააკმაყოფილებს.

საპარლამენტო კრიზისი ინგლისში

დარბაისლობით განთქმული ინგლისი, რომელიც დღევანდლამდე მედიდურ სიამაყით გადმოსცქეროდა ბრძოლის ველზე გამოსულ მოპირდაპირეს და საზღვაო გზების შეკვრით ემუქრებოდა წელში გაწყვეტას და შიმშილით დამორჩილებას, ბოლო დროს დიდს საგონებელში ჩავარდა და მთავრობის სადავეები ჩამოართვა ისეთს ძლიერს და სახელ მოხვეჭილ სახელმწიფო მოღვაწეს, როგორიც ასკვიტია. ამ საქმეში დიდი გავლენა იქონია დიდი ნებისყოფისა და გავლენის მქონებელმა ლლოიდ-ჯორჯმა, რომელიც უკიდურესი მომხრეა ბრძოლის გაგრძელებისა სრულს გამარჯვებამდე. ასკვიტის სამინისტროს რყევა იმ დღიდან დაიწყო, როდესაც გერმანელების წყალქვეშა ნავებმა ამერიკის შეერთებულ შტატების სანაპიროებში დაიწყეს თარეში და ასკვიტის მთავრობამ იმდენი გამბედაობა და ძალა ვერ გამოიჩინა, რომ ვილსონზე გადაჰრილი გავლენა მოეხდინა და იძულებულ ეყო გერმანელების წყალქვეშა ნავების თარეში აელაგმინებინა.

მეორე მარცხი ასკვიტის სამინისტროს ნორვეგიის საკითხში მოუვიდა. აქაც შესძლეს გერმანელებმა ნორვეგიაში დაწყებული წყალქვეშათა თარეში ისე მოეწესრიგებინათ, რომ ინგლისის გავლენა გარიყული დარჩა.

ამას ზედ დაერთო ინგლისის სანაპიროებზე გერმანელების მიერ კაღნიერად გახშირებული თარეში; განსაკუთრებით ლამანშის სრუტეში ბოლო დროის შეჭრამ თვითონ ლონდონის ცხვირწინ. ყველასთვის ნათელ-ჰყო, რომ ინგლისის საზღვაო ბატონობა არც ისე განუსაზღრელი და უძლეველი ყოფილა, როგორც ყველას ეგონა.

დღითი-დღე იზრდებოდა უკმაყოფილება ასკვიტის გაუფრთხილებლობის გამო. ბუქარესტის დამხობამ კი ხელზე ნავთი დაასხა, ხოლო საბერძნეთის ამოძრავებამ კი საბოლოოდ გადასწყვიტა ასკვიტის სამინისტროს ბედი. უკვე ცხადი გახდა, რომ თუ ასეთის გზით იავლიდა საქმე, ინგლისის მედიდურ სიამაყეს ფრთები შეეკვეცებოდა და დიდი ზეიმით გამოცხადებული სიტყვა მუქარისა უშინაარსო ფორმად დარჩებოდა. ინგლისმა კარგად იცის, რომ ვინც დღევანდელ მსოფლიო ომში ვერ გაიმარჯვებს, უსათუოდ მეორე ხარისხოვან სახელმწიფოდ გადაქცევა. ამისათვისაც ამოძრავდა ინგლისის ძლიერი ნებისყოფა და მთავრობას სათავეში მოექცა ისეთი ძლიერი პიროვნება, როგორაც ლოიდ-ჯორჯია, რომელმაც უმოქმედობისათვის დაამხო ასკვიტის სამინისტრო. ბრძოლა საბოლოო გამარჯვებამდე ყოველნაირის საშუალებით—ეს არის დევიზი ინგლისის ახალი სამინისტროსი. მახლობელი მომავალი დაგვანახვებს, თუ რა ნაყოფს გამოიღებს უკანასკნელ ძალღონე მოკრებილი ინგლისის მესვეურთა გამჭრიახობა.

Calme.

პოეტის ნიკ. ბარათაშვილის ლექსების საიუბილეო გამოცემის შესახებ

როგორც ვიცით წელს ნოემბრის 22-ს, შესრულდა ასი წელიწადი ჩვენი დიდებული მგოსნის ნიკ. ბარათაშვილის დაბადებიდამ. განზრახულია აკადემიური გამოცემა მისთა ლექსთა და წერილებისა გამოცემას კისრულობს კნეინა ეკატერინე მიხ. ასული ერისთავისა. აკადემიური გამოცემის შესახებ უკვე დაიბეჭდა განცხადება „სახალხო ფურცელში“, შევიტყეთ შემადგენლობა სარედაქციო კომისიისა და ვინაობა კრიტიკულ წერილების ავტორებისა...

არ შეგვიძლია არ გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრებაც უუდიდებულეს პოეტის ლექსების და წერილების გამოცემის შესახებ. ამ გამოცემას, როგორც სჩანს, აწარმოებს ჩვენი ინტელიგენციის ერთი ჯგუფი. პოეტი ნიკ. ბარათაშვილი მთელ ერს ეკუთვნის. ის არ სწერდა ივანესთვის, პეტრესთვის, ერთ რომელისამე ჯგუფისთვის, არამედ მთელ ერისთვის. მისი მოძმე, რომლის გზის სიძნელის გაადვილებას ცდილობდა თავის მერანის საშუალებით, იყო ყოველი ქართველი, განურჩევლად წოდებისა, სარწმუნოებისა და მამართულებისა. როდესაც რომელიმე ჯგუფი ასეთ დიად გამოცემას ეპირება იმისთანა ერში, როგორიც ჩვენია, რომელიც არაა ცნობილი თვისი სიუხვით ქართულ წიგნების შეძენის საქმეში, უპირველეს ყოვლისა სახეში უნდა ჰქონდეს, თუ რა ღირებულების გამოცემას მიაწვდის საზოგადოებას, მოიპოვებს თუ არა ის ამ საზოგადოების თანაგრძნობას, გავრცელდება თუ არა ხალხში, შეიტანს თუ არა ახალ რასმე ცოდნათა სალაროში და დააკმაყოფილებს თუ არა საზოგადოების ცოდნის მოყვარე წევრთ წყურვილს თვისი შინაარსით. განზრახული გამოცემა ნიკ. ბარათაშვილის ლექსებისა, რა თქმა უნდა, ძვირფასი შეძინება იქნება ქართულ მწერლობისთვის. მაგრამ ჩვენ სულ სხვაგვარ გამოცემას მოველოდით და აი როგორსა:

ნიკ. ბარათაშვილის შესახებ ქართულ კრნტიკულ მწერლობაში არსებობს საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა და ამ დარგში უკვე ნათქვამია ყველაფერი, რის თქმაც კი შეიძლებოდა. ამის გამო ჩვენ უფრო საჭიროდ მიგვაჩნია მგოსნის სახელის შესაფერისად შემდეგნი გამოცემანი: ა) გამოცემა მისი ლექსებისა და წერილებისა ერთ წიგნად,—იმ სახით, რა სახითაც განუძრახავს ზემოხსენებულ ჯგუფს. ბ) გამოცემა კრიტიკულ წერილების ქრისტომატიისა მის პოეტურ მოღვაწეობის შესახებ,—მეორე წიგნად. უკანასკნელ წიგნში მოყვანილი უნდა იქმნას განსაზღვრულ პროგრამით საყურადღებო წერილები, მის ოეტურ ნიჭის და მოღვაწეობის დასაფასებლად დაწერილი სხვა და სხვა კრიტიკოსთა და ლიტერატურის მეისტორიეთა მიერ.

ამ წიგნის საშუალებით, რომელშიაც მოყვანილი იქნება თითოეულ კერძო საკითხის შესახებ წერილები სხვა და სხვა ავტორისა, და არა ერთი ავტორისა, თუნდ ძლიერ ნიჭიერის და ცნობილისა, დაინტერესებული მკითხველი უფრო ვრცლად, უფრო საბუთიანად და მრავალ მხრით გაიცნობს დიდებულ მგოსნის შემოქმედების დიადს ნაყოფსა. ასეთი კრიტიკული ქრისტომატია ანუ კრებული ძვირფასი საჩუქარი იქნება არა თუ მოზრდილი მკითხველ-

თათვის, არამედ ჩვენი მოზარდი თაობისათვისაც, რომელიც ატარებს თვის შორის სამშობლოს მომავლის სიავკარგის ჩანასახს. ბევრგან მოსწავლე ახალთაობას ჩვენში ძლიერ ეინტერესება ქართულ მწერლების ნაწარმოებთა ყოველმხრივი კრიტიკული გარჩევა... სწორედ ასეთებს უნდა მივაწოდოთ უფრო მეტი კრიტიკული მასალა პოეტის შესასწავლად, რასაც აუცილებლად მისცემს კრიტიკული წერილების კრებული... ასეთი კრიტიკულ წერილების კრებულნი ფრიად გავრცელებული გამოცემანია დასავლეთ ევროპასა და რუსეთში. უფრო ცნობილ კრებულებად ითვლებიან რუსეთში კრებულნი პოკროვსკისა, პრილუკო-პრილუცკისა და ზელინსკისა. სამივე კრებული რუს-მწერალთა შესწავლას მეტად ხელს უწყობს.

აი, ბატონებო, ასეთი კრებული უნდა გამოსცეთ ნიკ. ბარათაშვილის შესახებ. გაისარჯეთ, მოსძებნეთ წიგნთსაცავებში ესვა და სხვა ქართული გამოცემანი, მონახეთ მათში მის შესახებ წერილები და, რაც რამ საყურადღებო ნახოთ, ამოწერეთ და შეიტანეთ კრებულში განსაზღვრულ გეგმის მიხედვით. ეს გამოცემა მოაყოლეთ მის ლექსების და წერილების გამოცემას... მაშინ და მხოლოდ მაშინ მოიპოვებს უფრო მეტს თანაგრძნობას ნიკ. ბარათაშვილის ნაწარმოებთა გამოცემა ქართველ საზოგადოების ფართო მასაში...

ილ. ფერაძე.

ნიკ. ბარათაშვილის საღამო

ქ. დორპატში (იურიევი).

დორპატის სათვისტომომ ნიკ. ბარათაშვილის დაბადებიდან ასი წლის შესრულების აღსანიშნავად დაადგინა მოეწყო საღამო. სათვისტომოსთან არსებულმა „არჩ. ჯორჯაძის სახელობის სალიტერატურო წრემ“, ეს საღამო მოაწყო გიორგობისთვის 20-ს. საღამო სამი განყოფილებისაგან შესდგებოდა. პირველში წრის თავმჯდომარემ ირ. სურგულაძემ წარმოსთქვა შესავალი სიტყვა, რომლითაც ნ. ბარათაშვილის შემოქმედების ვითარება მოკლედ განიხილა. შემდეგ რეფერატები წაიკითხეს თ. ბეგიაშვილმა და პლ. კვირკელიამ. პირველმა ბარათაშვილის დროის ცხოვრება გაგვაცნო და აღნიშნა ის ისტორიული მიზეზები, რომლის ძალითაც იმ დროს საქართველომ ფერი დაჰკარგა. შემდეგ კი თვით ბარათაშვილის მოკლე ბიოგრაფია წაიკითხა. კვირკელია, თვით ბარათაშვილს უფრო ვრცლად შეეხო, მისი კერძო წერილების საერთო მნიშვნელობა მოგვითხრო და რამდენადმე ბარათაშვილის პოეზიაც დაახასიათა. მეორე განყოფილებაში მიხ. აბრამიშვილმა და ვახტ. კოტეტიშვილმა წაიკითხეს ბარათაშვილის შემოქმედების კრიტიკული ეტიუდები. აბრამიშვილმა ქართული პოეზიის მთავარ წარმომადგენლებად მხოლოდ შოთა და ბარათაშვილი აღიარა, რადგან ესენი არიან მთელი საქართველოს უდრეკი ნების გამომხატველნი. კოტეტიშვილმა მოკლედ განიხილა ბარათაშვილის პოეზია და შემცდარად იცნო ის მოსაზრება, რომლითაც ბარათაშვილს პესსიმისტად სთვლიან. მისი „მერანის“ შემდეგ ის ნამდვილი ოპტიმისტია და მისი პესიმისტად ჩათვლა შეუძლებელიაო.

მესამე განყოფილებაში მიხ. ხერხეულიძემ, ნიკ. ხოშოლავამ და გრ. გველესიანმა წაიკითხეს ლექსები და სცენები, რომლითაც ამხანაგები ნასიამოვნებნი დარჩნენ.

მიხ. კიაზოშვილი.

საავჭრო სახლი ვოგაუ და Co.

როგორც ვიცით, დღეს ლიკვიდაცია ხდება გერმანელთა ერთ-ერთი უდიდესი დაწესებულებისა რუსეთში, სახელდობრ, ვოგაუ და კომპანიისა, რომელთან შეკავშირებულია ოცამდე სხვა დაწესებულებაც. ამ ლიკვიდაციის გამო, ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი თვის მოხსენებაში სწერს:

„რადგან საავჭრო სახლს ვოგაუს დღეს ოცზე მეტი დაწყებულება ექვემდებარება და რადგან ბევრი მათგანისთვის იგი ამავე დროს სამრეწველო ბანკსაც წარმოადგენს და საშუამავლო-საკომისიონერო კანტორასაც, ამიტომ ადვილად შესაძლებელია, რომ ომის გათავების შემდეგ ეს სავაჭრო სახლი ერთი იმგვარ ბურჯად გადაიქცეს, რომლის შემწეობით გერმანელ კაპიტალისტებს კვლავ შეეძლებათ რუსეთის ბაზარზე გამოსვლა და ფეხის მოკიდება. ამ თვალსაზრისით, აუცილებელ საჭიროებად უნდა იქმნას მიჩნეული, რომ ხსენებული დაწესებულებანი სრულიად განთავისუფლდნენ სავაჭრო სახლ ვოგაუს გავლენისაგან, ამ სახლის საქმეების იძულებითი ლიკვიდაციის მოხდენით 1915 წლის 1 ივლისის კანონის წესით, რადგან მხოლოდ ამ გზით შეიძლება, რომ რუსულ დაწესებულებათ, ან რუსეთის მეგობრულ წრეებს შერჩეთ უცხო დაწყებულებათა პაიები და აქციები, რომელნიც დღეს სავაჭრო სახლს ვოგაუს ეკუთვნიან. ის ნებაყოფლობითი ლიკვიდაცია თავის საკუთარი პორტფელისა, რომელიც ხსენებულმა სავაჭრო სახლმა ამ წლის მაისიდან დაიწყო და რომელსაც შედეგად მოჰყვა ორი უდიდესი დაწყებულების, (ბელორეცის ქარხანათა საზოგადოებისა და კოლჩუგინის ქარხნების ამხანაგობათ), გადასვლა საკომერციო ბანკების ხელში არავითარ გარანტიას არ იძლევა არც იმისას, რომ ეს დაწყებულებანი მართლაც და საიმედო ხელში არიან გადასულნი და არც იმისას, რომ მათი გადასვლა საკომერციო ბანკების ხელში მოასწავებდეს ამავე დროს ამ დაწყებულებათა ნამდვილ განთავისუფლებას სავაჭრო სახლ ვოგაუს გავლენისაგან, რადგან ეს გადასვლა სრულებით არ უარყოფს იმას, თითქოს შეუძლებელი ყოფილიყო წინასწარი საიდუმლო შეთანხმება სავაჭრო სახლსა და მყიდველებ შორის. ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს არ შეეძლო ჩაეშალა ხსენებულ დაწესებულებათა გადასვლა საკომერციო ბანკების ხელში, რადგან არ იყო ფორმალური დაბრკოლება, რომ ვოგაუს სხვების ხელში არ გადაეცა მისდამი კუთვნილი აქციები და პაიები. რადგან სრულებით სასურველი არ არის, რომ შემდეგშიაც თვით სავაჭრო სახლს ჰქონდეს მინდობილი თავის პორტფელის რეალიზაცია, ამიტომაც მინისტრი აუცილებლად სცნობს სავაჭრო სახლის ვოგაუს დახურვას 1915 წლის კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის წესით, იმ აუცილებელის პირობით, რომ ყველა მისი საქმის ლიკვიდაცია მოხდეს განსაკუთრებული გამგეობის საშუალებით, რომელსაც უნდა შეადგენდენ მთავრობის კაცები სამხედრო, საფინანსო და ვაჭრობის სამინისტროებიდან. მხოლოდ ამ პირობებში შეიძლება, რომ ხსენებული დაწყებულებანი სრულიად განთავისუფლდნენ სავაჭრო სახლის გავლენისაგანო“.

დაგა-სოფლები

ხ. ახალ-ძალაძი. ორიოდე ქალის მიერ ორმოციოდე თუმნით გახსნილი ნაბერ-ნაბერ ფართლეულობის პატარა დუქანი „ცისკარი“, დღეს ვრცელ და თვალსაჩინო სახლად იქცა. ორ განყოფილებისგან შესდგება. ერთში სავაჭროა მოთავსებული, ხოლო მეორეში სამკერვალო.

საქონელი პირველ ხარისხის ფირმებისა არის გამოწერილი. მაგ, პროხოროვის, მაროზოვის და ყოჩინის. თითეულ ნივთს ფასი ზედა აქვს აღნიშნული და მუშტარს დაჩინჩება არა სჭირდება.

მახლობელ სოფლების გარდა შორიდანაც მოდიან მყიდველნი, რადგან აქ უფრო ხელსაყრელ ფასებში იძენენ ყოველსავე, რისგამოც ხშირად გესმით ასეთი ლაპარაკი:

— ღმერთმა ხელი მოუმართოთ, სინდისიერათ ზომავენ და ნაკლებ ფასებშიც გვითმობენ. აქ ნაყიდი როცა გაგვიზომნია სახლში, ჰარბი გამოსულა. სხვაგან ნაყიდს-კი კარგა დაკლებია.

— იმ დღეს ჩემ ჯალაბს ჩვენმა ნათლია მთავარმა ხუთი არშინი შალოვნის საკაბე მოუტანა, მაგრამ ზმანაში ისე დაუკლიათ, რომ სირცხვილით ვერ იცვამს, კაჩაზე ადგია.

ყოველ დღიური ვაჭრობა დაახლოებით 300—57 მანეთამდის აღწევს. პაი 5—300 მანეთამდის არის განსაზღვრული.

დასასრულ მინდა, სხვა მომუშავე მანდილოსნებ-შორის, ერთი მოვაჭრე ქალი გაგაცნოთ, სახელდობრ კონსტანტინე ანდრონიკაშვილის ასული, მეუღლე თარხან-მოურავისა.

დედ-მამა, აღმზრდელები თურმე სახაბაზო-სამზარეულოში უკრძალავდნენ შესვლას: საშვლების სუნი შეგაწუხებს, ცეცხლის სიმხურვალე სიცხეს გაგრძნობინებს, ფქვილის მტვერი დაგედინება, თონის კომლი თვალებს დაგწვამსო. აი ეს ნებივრობაში აღზრდილი ქალი, ფუფუნების შვილი დღეს არშინით ხელში, ჭაღარა თმით, ფერმკრთალი ხნიერი მანდილოსანი სდგას დახლში და გეკითხებათ—რომელი ფარჩა გნებავთ?—და რა დაუსახელებთ, ღრმა განცვიფრებული შეჰყურებთ მის ნაზ ხელებში არშინის სწრაფ ტრიალს.

ანეტა კაბანაძისა.

დ. ცხინვალი. ამ ომიანობისგან თუ სხვაგან გახდა აუტანელი მდგომარეობა, ჩვენს დაბეჩავებულს ცხინვალში ხომ უარესია. ამბობენ, ერთი ჭირი მარგებელიაო, და სწორედ ასეც მოუვიდა საქართველოს ბევრს ქალაქებსა და სოფლებს. დიდმა გაჭირვებულმა მდგომარეობამ დაანახვათ, რომ ასე ცხოვრება, როგორც წინად, აღარ შეიძლება! საჭიროა ძალების შეერთება, შეთანხმება, ამხანაგობათა დაარსება, რომ ამითი გაუმკლავდნენ აუტანელს გაჭირვებას და ჩამოვარდნილს სიძვირეს. დააარსეს კოოპერატივები და ცოტად თუ ბევრად შეასუმბუქეს მდგომარეობა. ჩვენს ცხინვალშიაც გრძნობდნენ, ამისთანა ამხანაგობის აუცილებლობას, მაგრამ როგორც მრავალჯერ, ეს გრძნობა, მარტო გრძნობათ რჩებოდა და საქმით კი არავინ რას აკეთებდა. აქაურები ჩვეულნი იყვნენ უცხოთა ბატონ-პატრონობას და თითონ კი პასიურ როლის თამაშს და აქაც უცდიდნენ: იქნებ, ღმერთმა მოგვივლინოს ისეთი პირი, რომელიც მხსნელ ანგელოზობას გაგვიწევს და ამისთ ნა აუტანელს მდგომარეობიდან გამოგვიყვანოსო. და აი მართლაც, ასეთი მსხნელიც გამოჩნდა დავით ჭონიშვილის სახით. მან მოინდომა ცხინვალშიაც დაეარსებინა ამხანაგობა. პირველ დანიშნულს კრებაზედ ფართო საზოგადოებას გააცნო მნიშვნელობა ამგვარი ამხანაგობისა და მისი აუცილებლობა ამისთანა აუტანელს დროში. საზოგადოება თანაგრძნობით შეხვდა და გამოსთქვა სურვილი მაშინვე შეემუშავებინათ წესდება და დაესახელებინათ დამფუძნებელნი. მეორე კრებაზედ არჩეულ იქმნენ ასეთი პირები და დაწერილ იქნა თხოვნა. წესდება მალე დაამტკიცა გუბერნატორმა. მაგრამ ვიდრე შენობას იპოვნიდნენ და საქონელს მოიტანდნენ, ბევრი დრო გავიდა. ეს მესამე თვეა, რაც არსებობა დაიწყო „ცხინვალის კოოპერატივმა“. ჯერ ჯერობით კარგად მიდის საქმე და წავა კიდეც, თუ საზოგადოება თანაგრძნობით მოეკიდება და თითონ გამგეობის წევრთა შორის თანხმობა იქნება. საერთოდ ასეა ხოლმე: ახალ საქმეს ეჭვის თვალით უყურებენ და თუ ასე უცქერიან დიდს ქალაქებში, აქ ხომ უარესი იქნება, რადგან არიან ისეთნი, ვისაც ჩვეულებათა სჭირთ, ყოველსავე კეთილ საქმეს ხელი შეუშალონ და ამ მიზნისთვის არაფერს დაერიდებიან, სინიდისის წინაღმდეგაც წავლენ. ზოგი შეგნებული უკიჟინებს, ძვირად რად ჰყიდითო და მხედველობაში არ იღებენ ჩამოვარდნილ საერთო სიძვირეს, აგრეთვე მოტანას გორიდან აქამდინ: რაც გორში 24 კ. იყიდება, ურმის ხარჯის გამო აქ ამ ფასათ ვერ გაიყიდება, ეს საბუთად არ მიაჩნიათ და ისევ თავისას გაიძახიან. თუ სხვა რომელიმე დუქანში რამე ნივთი 2 კაპ. ანუ 5 კ. ნაკლებ იყიდება, ეს იმას არ ნიშნავს, რომ კოოპერატივში ძვირათ გაყიდონ; ის დუქანი დიდი ხანია არსებობს და ის, რასაც მიუმატებს, ისიც მეტია, „კოოპერატივს“ კი ეხლა უხდება საქონლის ყიდვა და, რასაკვირველია, მეტ ფასებში. ეს ისეთი ნათელია, რომ ამაზედ ლაპარაკიც კი მეტია, მაგრამ ბევრისთვის კი შეუმჩნეველია და სალაპარაკო საგნად გაუხდიათ.

კოოპერატივის გამგეთ იგრძნეს, რომ თითო ოროლა ინტელიგენტი საქმის გაფართოებისათვის არა კმარა, რომ საჭირო იყო თვითონ ხალხის დაინტერესება, მათი მოზიდვა. აი, ამ მიზნით გამოიწერეს ფქვილი, როგორც მოთხოვნილების პირველი საგანი. საჭირო თანხა ამა სად გაჩნდა ახლად დაარსებულს კოოპერატივს, რომელსაც მხოლოდ 300 წევრი ჰყავდა? და აი შეუდგნენ საშუალების გამონახვას. გადასწყვიტეს მიემართათ აქაურს ვაჭრებისთვის ფულის სასესხებლად, თუმც არ იყვნენ დარწმუნებულნი, რომ მიზანს მიაღწევდნენ. როგორი მოულოდნელი იყო ის ფაქტი, რომელიც ამ დღეს მოხდა! თვითეულმა ვაჭარმა პირველსავე წინადადებაზედ 200 თუმანი, ასი და ამის ჩამოდალმა უსარგებლოდ ასესხა ამხანაგობას. ერთი დღის განმავლობაში ათასი თუმანი შეჰკრიბეს. ეს ფაქტი ღირს შესანიშნავია! საერთოდ ვაჭრები ამისთანა ამხანაგობების მტრები არიან და ბევრი მაგალითებიც ვიცით მათი მოქმედებისა კოოპერატივების წინააღმდეგ და აქ კი ასე ხელი გაუმართეს! უეჭველია, შეიგნეს მათ, რომ თუ ხალხი გაჭირვებაში ჩავარდება და სახსარი აღარსაიდან არ ექნება, თითონაც ველარ იარსებებენ და ამიტომ გადასწყვიტეს ხალხთან კავშირის დაჭერა და თან მათი სიმპატიის მოპოვება იმ დროს, როდესაც ყველა ასე ცუდად უცქერის მათ. ასეა თუ ისე, ფაქტი ეს იყო, რისთვისაც მადლობის ღირსნი არიან ისინი, ვინც მაშინ ფული ასესხეს უსარგებლოთ და ვისი მეოხებითაც ჭ ვაგონი ფქვილი უკვე დაურიგდა გაჭირვებულ ხალხს (ერთიც ახლო მომავალში მოუვათ). იმედია შემდეგშიაც კიდევ გაუმართავენ ხელს ამ გვარ საქმეში! გამგეობას უნდა გამოეცხადებინა მათი სია და თუ აქამდინ ვერ გამოაცხადა მოუცლელობის გამო, იმედია, ახლო მომავალში გამოაცხადებს და გადაუხდის შესაფერს მადლობას.

ქართველი ჭალი.

მოწოდება

დღევანდელი ომი და ის დაუსრულებელნი მსხვერპლნი, რომელთაც იგი ითხოვს, გვაიძულებენ ჩვენ, განუწყვეტელი კავშირი ვიქონიოთ იმათთან, ვისაც დაკისრებული აქვთ მთელი სიმძიმე ამ ომისა.

ქართველმა პოლკმა ომში მრავალჯერ მიიღო მონაწილეობა და ორ დიდ შეტაკებაში თავი ისახელა.

გარდა 100 მოკლული ჯარისკაცისა, ამას არც ერთი ოფიცერი არ დაჰკლებია.

პირნათლად ასრულებენ რა თავის მოვალეობას მამულისა და ერის წინაშე, მათ უფლება აქვთ ჩვენის ზრუნვის იმედიც ჰქონდეთ. ყოველმა მოყვარულმა დედამ გაიხსენოს საბალღწლო უქმეების წინ ის ძვირფასი და საყვარელი მეომრები, თავის სიცოცხლით ხომ ჩვენს კეთილდღეობას იცავენ.

ქართველმა საზოგადოებამ უნდა გაახსენოს თავის ღვიძლ შვილებს, საფრებში რომ სულსა ლევენ, რომ იგი თვალს არ აშორებს ყოველ მათ ნაბიჯს და ყოველი წვეთი მათგან დაქცეული სისხლისა, წმიდა ჩვენთვის: მათ მამათა, დედათა და და-ძმათათვის.

სუსხიანი ზამთარი მათი ცხოვრების პირობებს ფრიად აძნელებს და ჩვენი ვალია შეუმსუბუქოთ მდგომარეობა.

თბილი ტანთსაცმელის, ხელთათმანების, ფეხსაცმელების გაგზავნა და მრავალ სხვა საჭიროებათა დაკმაყოფილება ჩვენი საზრუნავი უნდა გახდეს.

შესწირეთ, ვისაც რა შეგიძლიათ და თქვენი საჩუქარი საუკეთესო მილოცვა და სიხარული იქნება საომბაოდ, სამშობლოს დაშორებულ მეომართათვის.

ყოველივე შეწირულება მიიღება საჩუქართა შემკრებ ბიუროს მიერ: დაბრილთა კომიტეტის კანცელარიის ა. ი. მასალკინის (განოვის ქ. № 6) და პოლკის კომანდირის მეუღლის ს. ლ. კვინიხიძის სახელზედ (გონჩარნის ქუჩა, № 8).

ქართველ მსროლელთა პოლკისათვის საჩუქრების შემკრებ ბიუროს დავალებით ა. ი. მასალკინი.

რედაქტორ-გამომცემელი
ხანდრო შანშიაშვილი

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

თბილისიდან გადის:

ბათუმისკენ	საფ. № 3,	11.03	დილ.
„	სამგზ. № 9,	10.33	საღ.
ბორჯომისკენ	სამგზ. № 19,	3.20	დღ.
„	„ № 17,	8.27	დილ.
გორისაკენ	სამგზ. № 61,	9.10	დილ.
ბაქოსაკენ	ჩქარ. № 6,	11.13	დილ.
„	სამგზ. № 8,	3.54	დღ.
„	საფ. № 4,	9.28	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ. № 4-3,	11.18	საღ.
თელავისაკენ	№ 4, 8 „	58 „	დილ.

თფილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ. № 10,	9.52	დილ.
„	საფ. № 4,	8.38	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ. № 20,	7.48	დილ.
„	სამგზ. № 18,	10.12	საღ.
გორიდან	სამგზ. № 62,	6.34	საღ.
ბაქოდან	საფ. № 3,	10.08	დილ.
„	სამგზ. № 7,	4.12	საღ.
„	ჩქარ. № 5,	8.48	საღ.
თელავიდან	№ 3, . 6 „	24 „	საღ.
ყარს-ჯულფ.	საფ. № 3***,	8.10	დილ.

თუ გსურთ,

რემონტონზე რიხიანი დაბეჭდვა,
რემონტ. სწავლა ამერიკ. წესით,
საქმის ძალალდის დაწერა,
თხოვნების შედგენა,
საქმის და თხოვნის წარგზავნა,
ცნობების შეკრება,
ჟურნალისტური შოვნა,
საკომისიო ვინლობილობა,
ბინის გაქირავება,
ბინის შოვნა,
ვაჭრულის ყიდვა,
ვაჭრულის გასყიდვა,
ვაჭრულის დაგირავება,
ვაჭრულის იჯარით გაცემა და სხვ.

მიმართეთ ცნობის პუნქტორას
ი. თ. გვათუასას

თბილისი, ვერის დალვართი, სახლი მელიქ აზარიანისა № 1

შუაგავლტაბას ეს კონტორა გასწევს როგორც ძალაძელთა იხი ძალაც გარეშეთათვის.

ყველა საქმეს კონტორა სწრაფად და პირნათლად ასრულებს.

ხელშესაწყობად ფასებში

მისამართი პროვინციელთათვის: Тифлисъ, Верійск. спускъ И. Т. Гватуа, Справочная контора

დაიბეჭდა და იყიდება
1917 წ. კედლის კალენდარი

შედგენილი ბრ. ჩარკვიანის-ვიერ (ოცდა მეცხრე წელი)

კოოპერატ. ამხანაგობა „განახლება“-ს გამოცემა

ფასი ერთი მანეთი

კოოპერატიულ ამხანაგობათ ვთხოვთ მიმართონ ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირს. კერძო მყიდველთ—წერა-კითხვის მალაზიის და სხვა წიგნების მოვაჭრეებთან თბილისში.

ხილეული, მადნეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ყანმთელობის ინტერესი მოითხოვს: მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე ლაღიძის და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო. ხილეულ მადნეულის ნამდვილი სამკურნალო წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ განშირებულია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების ყალბი ეტიკეტების მიმსგავსებით ნამდვილი ლაღიძის წყლის ეტიკეტის ნიშანი შემდეგია

ქართულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო სამრეწველო მინისტრის მიერ პეტროგრადში და თვით პრომკებსაც აწერია „ლაღიძის წყალი“

მხოლოდ და მხოლოდ ლაღიძის წყალია მომზადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით და მასთანავე

სუნი და გემოც საამური აქვს
წლ.

ძირს ტანჯვა, ძირს საერთო სისუსტე, ძირს სქესობრივი უძლურება!

გურჩევთ ყველას, ვინც საერთო სისუსტეს გრძნობს, სქესობრივად უძლურია— შეიძინოს ახლად გამოგონილი საშუალება პილულები მოლეციტინი (დასალევი) ნებადართულია მთავარ სამედიცინო საბჭოსაგან № 801.

— მოლეციტინი საშუალებაა სისხლ-ნაკლებობისათვის, უმადობისათვის, რახიტის, ნევრასთენიის, ცენტრალურ ნერვთა სისტემის ანთების წინააღმდეგ.

— მოლეციტინი მოწონებულია ბევრ ექიმისაგან, როგორც აღმადგენელი ორგანიზმ-სა და ავადმყოფის გამომბრუნებელი.

— მოლეციტინი უვნებელი საშუალებაა და ჰხვრებს არა მარტო ავადმყოფობის დასაწყისს, არამედ ავადმყოფობის გაარჯლების შემდეგაც.

— მოლეციტინი მშვენივრად მოქმედებს ვერცხლის წყალით და სხვა პრეპარატებით სიფილისის წამლობის დროს დაუძლურებულებზე. აღადგენს ძალას, მადას ჰმატებს, ნერვებს ამშვიდებს, ტეხას და წელის ტკივილს სპობს.

— მოლეციტინი სპობს უძილობას, ყრუობას, ყურებში წივილს, ნევრალგიურ ტკივილებს, სუნთქვის შეკვრას, აჩერებს თმის ცვენას.

— მოლეციტინი კარგად მოქმედებს ნერვების აშლილობაზე საზოგადოდ და უმთავრესად ქალების ავადმყოფობაზე.

— მოლეციტინი ჰხვრებს აგრეთვე სპაზმოფილის ასტმატიურ მოვლენების დროს და საზოგადოდ ნერვიულ ავადმყოფობის დროსა.

— მოლეციტინი კარგად მოქმედებს აგრეთვე ქალების თვიურების მოსპობის დროს და ანელებს გულის ფრიალს, თავსბრუ ხვევას, ოფლიანობას, უძილობას.

— მოლეციტინი ჰშველის ორსულობის დროს, სპობს შეგუნებობას (რაიც ძლიერ ხშირია) და გულის რევასა.

— მოლეციტინი კარგად მოქმედებს ონანისტებსა და სქესობრივად უძლურებზედ.

— მოლეციტინი მარგებელია როგორც დიდებისათვის, ისე ბავშვებისათვის.

— მოლეციტინი ჩქარა იკარგება ორგანიზმში და არ მოქმედებს კუჭზე.

— მოლეციტინი ძლიერ ადვილი სახმარი წამალია, ყველას შეუძლიან დამოუკიდებლად იწამლოს ყველგან, სადაც უნდა იყოს.

თითო კოლოფის ფასი 3 მან. სრული კურსი წამლობისა საჭიროებს 5-დან 10 კოლოფამდე. იგზავნება ფასდადებით 5 მან. ბეის მიღების შემდეგ.

შეკვეთა და ცნობების მიღება შეიძლება მხოლოდ ს. ი. შმიდტთან. Тифлисъ, Тхинвальская ул. № 12 отд. 3. თხინვალის ქუჩა № 12. მე-2 სად. უბანი გოლოვინის პროსპ. მამადავითის ქუჩის ახლოს.

(თ.)

თევზის მრეწველნი
ძმ. მეგველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. ვაილოვის-შვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მეშჩნი“ ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო საღიანის შამაიები მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს ავრედვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.